ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 23 აგვისტო, 2016 №199 (7125) ფასი: 50 თეთრი

## ბექა ბექაური ნაცემია

სუსი: „ბექაურმა დაზიანება გაქცევის მცდელობის დროს მიიღო“ გვ.3

## 23 აგვისტოდან წიგნი სიყვარულისა

წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, მანონ ლესკო

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



# საგურამოს ტერაქტის მცდელობის კვალი სააკაშვილისკენ მიდის?




სუს-მა ტერორისტული აქტი აღკვეთა გვ.2





## დაკავებულია საქართველოს 7 მოქალაქე



ირაკლი სესიაშვილი: „მივესალმები უსაფრთხოების სამსახურების ძალიან ეფექტურ მუშაობას“



მამუკა არეშიძე: „ეს აფეთქების მცდელობა მიბმულია არჩევნებზე“





გვ.5

## „დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ხელს ვაიპოლიტიკოსები უშლიან“

ზვიად ჩიტიშვილი: „ვთხოვთ პატრიარქს, კიდევ ერთხელ მოგვცეს კურთხევა შერიგებაზე“

გიორგი კვირიკაშვილი:

## „ძალიან დიდი საფრთხე იქნა აცილებული, რისთვისაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მადლობა ეკუთვნის“



გვ.3

## „სააკაშვილმა იცის, რომ არეულობის შემთხვევაში აქ მასზე ადრე რუსი შემოვა“



გვ.3



გვ.6

## ბიძინა ივანიშვილი ტელეეთერს უბრუნდება

ISSN 1987-9385

მსოფლიო ბანი მორიგ სკანდალში ეხვევა



გვ.4

## პაატა ბურჭულაძე: „მეამაყება, რომ ტარიელ ონიანის შვილის ნათლია ვარ“

## „აფხაზეთიდან დევნილებში ნაცმოძრაობის მიმართ დიდი პროტესტია“



გვ.6

ანზორ წოწონავა: „საჯარო მოხელეები პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს იცავენ“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# საგურამოს ტერაქტის მცდელობის კვალი სააკაშვილისკენ მიდის?

## სუს-მა ტერორისტული აქტი აღკვეთა

ნონა ცაბაძე

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოში ტერორისტული აქტი აღკვეთა. როგორც უწყებაში გამართულ გუშინდელ ბრიფინგზე ითქვა, გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოს ხუთი მოქალაქე, სოფელ საგურამოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე არაგვზე გამავალ რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი გაზსადენის მილის ღია მონაკვეთზე აფეთქებას ამზადებდა.

დაკავებულია საქართველოს ხუთი მოქალაქე: ბექა ბ, ვლადიმერ რ, მინდია ვ, ჯაბა მ და ნური ჭ.

ამ პირების გარდა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე დაკავებულია საპატრულო პოლიციის მოქმედი თანამშრომელი ლევან მ, დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე საქართველოს ერთი მოქალაქე, ირაკლი ბ.

გამოძიებით დადგენილია, რომ დასახელებული პირები ამზადებდნენ სოფელ საგურამოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე არაგვზე გამავალ რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი



მამუკა არეშიძე: „ეს აფეთქების მცდელობა მიბმულია არჩევნებზე“

გაზსადენი მილის ღია მონაკვეთის აფეთქებას.

ამ მიზნის განსახორციელებლად 20 აგვისტოს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გაემგზავრნენ ჟინვალ-შატილის საავტომობილო გზის მახლობლად ტყის მასივში არსებული იარაღის სამალავიდან ასაფეთქებელი ნივთიერებების ამოსაღებად.

სამალავიდან მათ ამოიღეს 4 ცალი 200 გრამიანი ტროტილის კოჭა, 2 სახის ცეცხლგამტარი ზონარი, 5 ცალი კაფსულა დეტონატორი, 1 ცალი ე.წ. „უემკაზე“ მუხტი, 1 ცალი რუსული წარმოების ე.წ. „ვეზედეს“ მუხტი თავისივე მაფეთქით, რუსული წარმოების 1 ცალი ამფეთქი და მოათავსეს ავტომანქანაში.

ამ დროს ისინი დააკავეს სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

ერთ-ერთი დაკავებულის ბინაში, მისი პერსონალური კომპიუტერიდან ამოღებულია რუქა, სადაც დატანილია ის ადგილები, რომლის აფეთქებასაც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გეგმავდნენ.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებულებს შორის ერთ-ერთი პოლიციელია და იგი თავდაცვის მინისტრის, ლევან იზორიას ნათესავია, რასაც კატეგორიულად უარყოფენ სუსის თანამშრომლები.



ბრიფინგზე ასევე გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, რომ დაკავებულთაგან ერთ-ერთი პირი ხშირად ჩადიოდა უკრაინაში, თუმცა იმართებოდა თუ არა ეს ჯგუფი ამ ქვეყნიდან, ჯერჯერობით დაუდგენელია.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე სუს-ში ჟურნალისტების მიერ დასმულ სხვა კითხვებს არ უპასუხეს.

* * *

„ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატ ირაკლი სესიაშვილს და ექსპერტს კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძეს ესაუბრა.

ირაკლი სესიაშვილის თქმით, ამ ტერორისტულ აქტს კავშირი არ აქვს არც ისლამურ სახელმწიფოსთან და არც სხვა კარგად ცნობილ დაჯგუფებებთან.

***— ეს უკვე დადგენილია?***

— ეს დადგენილია. პირველ რიგში მივესალმები ძალიან ეფექტურ მუშაობას უსაფრთხოების სამსახურების.



დაკავებულია საქართველოს 7 მოქალაქე

რამდენიმე თვე ახდენდნენ პროცესზე დაკვირვებას. ეს კიდევ ერთხელ მათ გასაგონად, ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების, რომლებიც ცდილობდნენ სუს-ის დისკრედიტაციას. ფაქტია, რომ სწორედ მათი ეფექტური საქმიანობის შედეგად იქნა ეს ძალიან მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, სახელმწიფო ინტერესების დამაზიანებელი ტერორისტული აქტის აღკვეთა.

***— აცხადებთ, რომ მათ არც ერთ ცნობილ ტერორისტულ დაჯგუფებასთან კავშირი არ აქვთ. ვინ არიან, რა მიზანი ამოძრავებდათ?***

— ამის დასადგენად გამოძიება ძალიან სწრაფად უნდა წარიმართოს. ერთ-ერთ დაკავებულს ძალიან აქტიური კავშირი ჰქონდა უკრაინაში მყოფ პირებთან.

***— ამ ფაქტთან დაკავშირებით უკრაინაში მებრძოლი ქართველი აცხადებს, რომ არასწორად მოხდა აღნიშნული პირების დაკავება, ის ხალხი დაიჭირეს, ვინც ჩვენ გვეხმარებოდაო. რას ნიშნავს ეს განცხადება და რაზე მიუთითებს?***

— ამ ყველაფერთან დაკავშირებით გამოძიება უნდა წარიმართოს. მათ შორის უნდა გაეცეს იმ კითხვას პასუხი, თუ რა სავარაუდო ინტერესები შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ტერორისტული აქტის განმზრახველს უკრაინაში მყოფ პირებთან, რა მიზნის მიღწევა სურდათ დანაშაულის ორგანიზატორებს.

ვის ვისი დაცვა სურს, ამაზე საზოგადოებამ თავად იფიქროს. ფაქტია, რომ სერიოზული მტკიცებულებები არსებობს, ფაქტია, რომ ამ დაკვირვების პროცესში, სუს-ს ექნება ყველა საჭირო მტკიცებულება, ინფორმაცია, თუ რასთან გვაქვს საქმე.

***— დიდი ხნით ადრე მოხდა აღნიშნული ინფორმაციის მოძიება სუს-ის მიერ?***

— რამდენიმე თვით ადრე, მე არ მინდა ამაზე დავკონკრეტდე.

***— უნდა განვიხილოთ თუ არა ყოველივე პოლიტიკურ ჭრილში?***

— პირველ რიგში ვიქნები მაქსიმალურად კორექტული და ჩემს პირად ვარაუდებზე არ ვისაუბრებ. ჩემი მხრიდან არ იქნება სერიოზული, რომ პირადი ვარაუდებით, პოლიტიკური ინტერესებისკენ თითი გავიშვირო. ამიტომ დაველოდოთ გამოძიებას. ასევე უნდა გაეცეს იმ კითხვას პასუხი, რა მოტივი ჰქონდათ, რა მიზანი ჰქონდათ და რა კავშირები ჰქონდათ.

***— შესაძლებელია, რომ ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილთან იყოს დაკავშირებული?***

— ვიმეორებ, ვცდილობ, კორექტული ვიყო.

***— თუმცა საზოგადოებაში კითხვის ნიშნები გაჩნდა ამ კუთხით.***

— ასეთ დასმულ ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს! იმის მიხედვით, რა ინფორმაცია აქვს და დაკითხვის შედეგად რა ინფორმაციას მიიღებს გამოძიება, ნებისმიერი ჩვენი თანამოქალაქე თავის ანალიზს თავადვე აკეთებს, მაგრამ მე არ მაქვს უფლება, ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე, მხოლოდ ანალიზის საფუძველზე ვისაუბრო. დაველოდოთ გამოძიებას. ყველა ამ კითხვას სწორედ გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი.

***— ახლოვდება არჩევნები და რამდენად იზრდება საფრთხე?***

— ცხადია, საფრთხეები არსებობს, ტერორიზმთან ბრძოლა ძალიან რთულია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ქვეყანაში არის სტაბილურობა, სიმშვიდე, უსაფრთხოება. ფაქტია, რომ ჩვენმა უსაფრთხოების სამსახურმა აღკვეთა ეს ძალიან სახიფათო ტერორისტული აქტი და იმის იმედი და განცდა უნდა გვქონდეს, დარწმუნებულებიც უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი უსაფრთხოების სამსახურები ძალიან ეფექტურად გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას.



ირაკლი სესიაშვილი: „მივესალმები უსაფრთხოების სამსახურების ძალიან ეფექტურ მუშაობას“

* * *

ექსპერტი მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ თუ სწორი გზით მიდიან ჩვენი საგამოძიებო უწყებები, ნამდვილად ტერორისტული აქტი იგეგმებოდა, მაგრამ ვინ დგას ამის უკან, რთული სათქმელია.

***— საუბარია მათ უკრაინასთან კავშირზე.***

— მიუხედავად იმისა, რომ მათი უკრაინასთან კავშირი რაღაცნაირად მოჩანს, მე არ დავიწყებდი ხმამაღალი განცხადებების გაკეთებას, რომ არა ერთი გარემოება.

***— რა გარემოება?***

— ამაზე ცოტა მოგვიანებით, მანამდე უნდა გითხრათ, რომ ტერორისტული აქტი შეიძლება მოაწყოს ნებისმიერი რელიგიის მიმდევარმა და ნებისმიერი ეროვნების ადამიანმა და მის უკან შეიძლება იდგეს აბსოლუტურად სხვა. ასეთი შემთხვევები ახლო აღმოსავლეთშიც ყოფილა და ევროპაშიც. მაგალითად, ამ ჯგუფის უკან შეიძლება იდგეს ისლამური ტერორიზმი, ისე, რომ მათ არც კი იცოდნენ, რომ ისინი ემსახურებიან სხვა ქვეყნისა და სხვა, რომელიღაც რელიგიური ორგანიზაციის მიზნებს. ამ შემთხვევაში ერთი გარემოება მაფიქრებს, რომელიც განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა ამ სიტუაციაში.

***— კერძოდ?***

— კერძოდ უკრაინაში მყოფი ქართველი, რომელიც მონაწილეობს საბრძოლო ოპერაციებში.

***— მან განაცხადა, ის პიროვნებები დააკავეს, ვინც ჩვენ გვეხმარებოდაო.***

— სწორედ აქედან გამომდინარე ვსაუბრობ. ეჭვის საფუძველს იწვევს ამ მებრძოლის, გვარად ნადირაძის, განცხადება, რომ ეს ყველაფერი ბმაშია არა ისლამურ ტერორიზმთან, არამედ ბმაშია სწორედ იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც უკრაინაში იმყოფება.

***— ანუ პოლიტიკურ კონტექსტში შეგვიძლია გადავიტანოთ ეს ყველაფერი?***

— რასაკვირველია! აბა სხვა რა კონტექსტი შეიძლება იყოს ამ ვერგანხორციელებული ტერორისტული აქტის უკან!

***— ვის შეიძლება აწყობდეს ეს აფეთქება?***

— არც სომხეთს აწყობს და არც რუსეთს და არც საქართველოს ხელისუფლებას. ამ სიტუაციაში შეიძლება ოპონენტი გამოვიდეს და თქვას, რომ რატომ არ აწყობს რუსეთს, რუსეთი ამ აფეთქებით არეულობას შეიტანდა საქართველოში, საქართველოს ხელისუფლებას დაბრალდებოდა ყველაფერი და ასე შემდეგ. მოკლედ, უამრავი ვერსიის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ეს ჩანაწერი, რომელიც სოციალურ ქსელში გამოჩნდა, მე მაინც მაფიქრებინებს, რომ ვექტორი იხრება უკრაინისკენ.

***— ყოფილ პრეზიდენტს გულისხმობთ?***

— რასაკვირველია. რამდენად ჩართულია ამაში სააკაშვილი და მისი გუნდი, ეს გამოძიების სათქმელია. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, პირდაპირ ხელის დადება ნამდვილად არ მინდა არავისზე, მაგრამ კვალი იქითკენ მიდის. მთავარი ის არის, რომ ამ აფეთქებით უნდოდათ დესტაბილიზაცია და, რასაკვირველია, ეს აფეთქების მცდელობა მიბმულია არჩევნებზე!

***— რამდენად იზრდება საფრთხე?***

— რასაკვირველია, ასეთი საფრთხეები იქნება, მე ამას ყოველთვის ვამბობდი. უბრალოდ, არ მეგონა, რომ ასე შორს წავიდოდნენ და ტერაქტის მოწყობას შეეცდებოდნენ იმისთვის, რომ არჩევნების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინათ. თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ამაზე არ გაჩერდებიან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილმა იცის, რომ არეულობის შემთხვევაში აქ მასზე ადრე რუსი შემოვა“

შორენა მარსაგიშვილი

ვის ინტერესებშია საქართველოში ტერორისტული აქტების მოწყობა, რა შემთხვევაში გახდება ქვეყანა ტერორისტების სამიზნე, ვის ინტერესებში შედის არეულობა? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.




**ზაალ კასრელიშვილი:**

— ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, მათ შორის „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუებშიც, რომ საქართველო აუცილებლად დადგებოდა ტერაქტების საფრთხის წინაშე. ზუსტი თარიღის დასახელება არ შეგვიძლია, მაგრამ საფრთხე საკმაოდ რეალურია. ამაში გუშინაც დავრწმუნდით, როცა სუს-მა ტერორისტული აქტი აღკვეთა.

ეს ფაქტი მისასალმებელია და მინდა ჩვენს სპეცსამსახურებს ერთი რჩევა მივცე — ყოველთვის გაითვალისწინონ გარე ფაქტორები. არც ერთი ტერორისტული აქტი საქართველოში არ დაგეგმილა და არც მომავალში დაიგეგმება. ყველაფერი მოდის ქვეყნის გარედან.

ამ ტერაქტის აღკვეთის შემდეგ, საქართველო ამ საფრთხისაგან არ გათავისუფლდება. არის რამდენიმე მიზეზი, რის გამოც საქართველო სერიოზული საფრთხის ქვეშ შეიძლება დადგეს.

***— რა მიზეზებზე საუბრობთ?***

— საქართველო აუცილებლად დადგება ტერაქტების საფრთხის წინაშე თუ ქვეყანა საგარეო პოლიტიკურ კურსს შეცვლის და პრორუსულ პოზიციას დაიკავებს. საფრთხეების მომტანია რუსეთსა და თურქეთს შორის დაწყებული მოლაპარაკებებიც. თუ ჩვენი ქვეყანა რომელიმე მათგანის მხარეს დაიკავებს, სერიოზული პრობლემები შეიქმნება, რადგან დღეს საქართველოა ერთადერთი ადგილი, სადაც კავკასიელები სტაბილურობას ხედავენ.

***— ეს ტერაქტიც ქვეყნის გარეთ დაიგეგმა?***

— ამაზე დეტალური და ზუსტი პასუხი გამოძიებამ უნდა გაგვცეს. მანამდე შესაძლოა მხოლოდ ვერსიებზე ვილაპარაკოთ.

***— ერთ-ერთი ვერსიით, არაგვის ტერაქტი ოდესაში დაიგეგმა. ამაზე რას იტყვით?***

— გამორიცხული არაფერი არ არის. ისიც კარგად ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილს საქართველოში დაბრუნება ნებისმიერ ფასად უნდა, მაგრამ ამ ეტაპზე საქართველოში ტერაქტების მოწყობა მის ინტერესებში არ შედის.

***— რატომ?***

— მან შესანიშნავად იცის, რომ სიტუაციის არევის შემთხვევაში, საქართველოში მასზე ადრე რუსი შევა. აი, ამიტომ არ აწყობს ახლა არეულობა.

***— რუსი რატომ უნდა შემოვიდეს?***

— ტერაქტი რუსეთ-სომხეთის მაგისტრალური გაზსადენის აფეთქებას ისახავდა მიზნად. აფეთქების შემთხვევაში რუსეთი თავისი ქონების დასაცავად შემოვიდოდა საქართველოში. ეს გაზსადენი მისი საკუთრებაა, ისევე, როგორც არმენგაზი.

***— რუსეთს საქართველოში შემოსვლის სურვილი ნამდვილად აქვს და რაკი ტერაქტის შედეგად მას თავის ქონების დაცვაზე შეეძლო პრეტენზიების გამოთქმა, გამოდის, რომ ამ ყველაფრის უკან კრემლი დგას?***

— ჩვენ ამ ეტაპზე არაფრის დამტკიცება არ შეგვიძლია. ტერაქტის მოწყობა რომ რუსეთის ინტერესებში შედიოდა, ეს არის ერთ-ერთი ვერსია. ისე, ეს ტერაქტი, საქართველოს გარდა, ყველას აწყობდა და მას შესაძლოა რამდენიმე მიზანი ჰქონდეს.

***— რა მიზნები?***

— ვიღაცას შეიძლება ძალიან უნდა, რომ საქართველოს რუსეთთან და სომხეთთან გაურთულდეს ურთიერთობები. ვიღაცას უნდა, რომ საქართველო არასტაბილური ქვეყნის იმიჯით სარგებლობდეს, რაც აქ გამავალ ენერგოპროექტებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

***— გაიჟღერა ვერსიამ, რომ არშემდგარი ტერაქტის უკან, შესაძლოა, ისლამური სახელმწიფოც იდგეს. რამდენიმე თვის წინ ისლამისტებმა გამოაქვეყნეს იმ 60 ქვეყნის სია, სადაც ისინი ტერაქტებს გეგმავდნენ. ამ ჩამონათვალში საქართველო არ იყო.***



— მაშინ ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი თარხან ბათირაშვილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. სწორედ მისი და კიდევ რამდენიმე ჩვენი თანამოქალაქის დამსახურებაა, რომ საქართველო ამ ჩამონათვალში არ მოხვდა. ახლა ბათირაშვილი ცოცხალი აღარ არის, ისლამურ სახელმწიფოშიც რაღაცები შეიცვალა და არაფერი გამორიცხული არ არის.

***— რა ცვლილებებზე საუბრობთ?***

— მას შემდეგ, რაც კოალიციამ ისლამისტებზე სერიოზული შეტევები განახორციელა, ისლამური სახელმწიფოს არმია ასეულებად, ათეულებად და სექტორებად დაიშალა. ყველა საველე მეთაურს, ყველა ათმეთაურს, ასმეთაურსა თუ სექტორის ხელმძღვანელს მიეცა უფლება, საკუთარი შეხედულებების მიხედვით დაგეგმოს და განახორციელოს ტერაქტები მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას.

***— მათ შორის საქართველოშიც?***

— მათ შორის საქართველოშიც. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაზსადენის აფეთქება მათ მიერ არის მოწყობილი, თუმცა გამორიცხული არაფერი არ არის. ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ საქართველოში რომელიმე სხვა ქვეყნის სპეცსამსახურმა განახორციელოს ტერაქტი და შემდეგ ის ისლამურ სახელმწიფოს დააბრალოს.

***— რაღაც ისე ხდება, რომ საქართველოში ტერაქტების აღკვეთა წინასაარჩევნოდ ხდება ხოლმე. ამაზე რას იტყვით?***

— ეჭვს არც ფერი აქვს და არც — ხორცი. ეჭვები რომ გაიფანტოს, ძალიან სერიოზული გამოძიება უნდა ჩატარდეს. ისე, არ არის გასაკვირი, რომ ვიღაცას საქართველოში არჩევნების წინ სიტუაციის არევა სურდეს. ქვეყნის გარეთ ბევრს უნდა, რომ ჩვენს ქვეყანას არასტაბილური ქვეყნის იმიჯი ჰქონდეს. დაინტერესებული არიან იმითაც, რომ არჩევნები მშვიდ ვითარებაში არ ჩატარდეს. არჩევნების წინ და მის შემდეგაც ცხელი პერიოდი დაგვიდგება.

# ბექა ბექაური ნაცემია

## სუსი: „ბექაურმა დაზიანება გაქცევის მცდელობის დროს მიიღო“

ტერორისტული აქტის საქმეზე ბრალდებულ, საპატრულო პოლიციის მოქმედ თანამშრომელ ლევან მამფორიას ადვოკატ რამაზ ჩინჩალაძის განცხადებით, მამფორიას უკრაინასთან კავშირი არ აქვს და ლევან იზორიას ნათესავი არ არის.

ჩინჩალაძის თქმით, საქმის მასალები მას უკვე გადაეცა. ისინი საკმაოდ ვრცელია და ერთი დოკუმენტი და მტკიცებულებაც კი არ მოიპოვება იმის შესახებ, რომ მამფორიამ რაიმე იცოდა ტერორისტული აქტის მომზადების შესახებ.

ადვოკატის ინფორმაციით, მამფორია გაწევრიანებული იყო ფეისბუქში სახელწოდებით „ერთიანი კავკასიის იდეა“, სადაც მამფორია უბრალოდ პოსტებს წერდა და ერთიანი კავკასიის იდეას ემხრობოდა, რაც თავის დროზე ზვიად გამსახურდიას და ჯოხარ დუდაევის იდეა იყო.

— დაკავებული ამბობს, რომ ამ ვირტუალური სოციალური ქსელის თანამონაწილე იყო და მხოლოდ ეს არის მათი კავშირი. არანაირი შეხვედრა ან რაიმეს დაგეგმვა საქმის მასალებიდან არ იკვეთება. რაც შეეხება უკრაინის თემას, უკრაინასთან და იქ მყოფ ხალხთან მამფორიას კავშირი არ აქვს, — განაცხადა ჩინჩალაძემ.

ლევან მამფორია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზეა დაკავებული.

ტერაქტის საქმეზე დაკავებული ერთ-ერთი პირის, ბექა ბექაურის დეიდის, მზიანა სუბელიანის, განცხადებით, მისი დისშვილი სასტიკადაა ნაცემი და საავადმყოფოშია გადაყვანილი.

როგორც მან სასამართლოში ჟურნალისტებს განუცხადა, ბექაურის ცემა დაკავებისას ან აღიარებითი ჩვენების მიღებისას მოხდა.

ბექაურის დეიდა არ ფლობს ინფორმაციას თუ რა ჩვენება მისცა მისმა დისშვილმა გამოძიებას და აღიარა თუ არა დანაშაული, თუმცა ვარაუდობს, რომ მან ყველაფერი თავის თავზე აიღო და ეს სწორედ ცემის შედეგად მოხდა.

— თუ დამნაშავეა, თუნდაც სიკვდილით დასაჯონ, მაგრამ მანამდე ცემა რა საჭირო იყო? როგორც ექიმმა ამიხსნა, თავის არეში აქვს ძვალი გატეხილი და გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული ზიანი, — განაცხადა ბექაურის დეიდამ და დისშვილის უკრაინასთან კავშირი კატეგორიულად გამორიცხა.


მაია ჭრელაშვილი

ბექაურის ადვოკატმა მაია ჭრელაშვილმა კი განაცხადა, რომ ბექაური საავადმყოფოში მოინახულა, სადაც მან აღიარა, რომ ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილეობდა.

ადვოკატის ინფორმაციით, ბექაურს სხვადასხვა სახის დაზიანება აქვს მიღებული, რომლებიც დაკავების მომენტში მიადგა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, რომ ბექა ბექაურს დაკავებისას ან აღიარებითი ჩვენების მიღებისას სცემეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სუს-ის პრესსამსახურში განუცხადეს, დაკავებისას ბექაურმა გაქცევა სცადა, რომლის დროსაც მან დაზიანებები მიიღო.

— დაკითხვის დროს ცემის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, — განმარტეს უწყებაში.

* * *

ტერორისტული აქტის საქმეზე დაკავებული ერთ-ერთი პირის, ირაკლი ბაგიშვილის ახლობლის განცხადებით, დაკავებულები უკრაინაში მებრძოლებს ეხმარებოდნენ.

როგორც ირაკლი ბაგიშვილის ახლობელმა რუსთავი 2-ს განუცხადა, ამის გამო მათ უთვალთვალებდნენ და პრობლემებს უქმნიდნენ.

— ეს ბრალდება სრული აბსურდია. ტერორიზმთან არანაირი კავშირი არ აქვს ირაკლის, არც „ზებოს“. არ ვიცი, ეს რით უნდა იყოს გამოწვეული, მაგრამ ფაქტია, რომ ცუდი და ბინძური თამაშია. საეჭვოდ დაჰყვებოდნენ და უთვალთვალებდნენ მანქანით. ხშირად ამბობდა კიდეც, რომ გრძნობდა, უთვალთვალებდნენ.

იყო არაპირდაპირი გაფრთხილებები, ინფორმაციები მოდიოდა, რომ ფორმა გაიხადე და უკრაინასთან ურთიერთობას თავი დაანებეო. ირაკლიც და ვოვაც ეხმარებოდნენ, აგროვებდნენ ფორმებს და რაღაცებს და უკრაინაში ჯარისკაცებს უგზავნიდნენ, ამასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ, — განაცხადა ირაკლი ბაგიშვილის ახლობელმა.

ჯაბა მელქაძის ადვოკატის, მალხაზ სალაყაიას განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს დაკავებისას დაზიანებები აღენიშნებოდა, თუმცა თავად ბრალდებული ამას უარყოფს.

ადვოკატის თქმით, მელქაძე და ბექა ბექაური ერთად დააკავეს და დაზიანებები მიაყენეს.

თავად მელქაძის თქმით კი, მისთვის სამართალდამცველებს დაზიანებები არ მიუყენებიათ. იგივე განცხადებები გააკეთეს სხვა დაკავებულებმაც.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ძალიან დიდი საფრთხე იქნა აცილებული, რისთვისაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მადლობა ეკუთვნის“



მთავრობის მეთაურის შეფასებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ძალიან ეფექტურად იმუშავა.

— მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ოპერაციაში მონაწილეობდა, ვინაიდან დიდი უბედურება იქნა თავიდან აცილებული. ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთი დროული და ეფექტური ღონისძიებების ჩატარება, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრი, გამოძიების პროცესის მიმდინარეობიდან გამომდინარე, შემდგომი კომენტარებისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს.

— ჩატარდება გამოძიება. ერთი შეიძლება ითქვას — ცხადია, რომ ძალიან დიდი საფრთხე იქნა თავიდან აცილებული, რისთვისაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მადლობა ეკუთვნის, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ირაკლი ბათიაშვილი: „შესაძლოა, ტერაქტის მცდელობა სხვა ქმედების შენიღბვას ემსახურებოდეს“

## „ჩვენს სამსახურებს მეტი სიფრთხილისა და ყურადღებისკენ მოვუწოდებ“

ნონა ცაბაძე

სუს-ის მიერ ტერორისტული აქტის აღკვეთას „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უშიშროების ყოფილი შეფი, **ირაკლი ბათიაშვილი** ეხმიანება.

***– ბატონო ირაკლი, როგორია თქვენი შეფასებები აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით?***

– უპირველეს ყოვლისა, მისასალმებელია, რომ უშიშროების სამსახურმა აღკვეთა ასეთი ტერორისტული აქტი. სწორედ რომ საჭიროა პრევენციული ღონისძიებების გატარება, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, როცა საქმე ეხება ტერორიზმს და ტერორიზმთან ბრძოლას. მისასალმებელია, რომ ეს მოახერხა ჩვენმა უსაფრთხოების სამსახურმა.

***– საფრთხე სერიოზულია?***

– ის, რომ ტერორისტული აქტები მოსალოდნელია, ის, რომ საერთოდ სიტუაციის დაძაბვა მოსალოდნელია წინასაარჩევნოდ, არაერთხელ მითქვამს. ამიტომ ჩვენი სათანადო სტრუქტურები მაქსიმალურად უნდა იყვნენ მომზადებულნი და მობილიზებულნი, რომ არ დაუშვან საქართველოში სერიოზული დესტაბილიზაციის ტალღა.

***– უკვე ისმის შეფასებები, რომ ამ ფაქტს კავშირი აქვს უკრაინაში მყოფ ქართულ ჯგუფთან. ამაზე რას იტყვით?***

– ჯერჯერობით რაც ცნობილია, ერთმნიშვნელოვნად ითქვა, რომ ამ ჯგუფს კავშირი არ აქვს ისლამურ სახელმწიფოსთან და იყო ძალიან ბუნდოვანი მითითება იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი დაკავებული დადიოდა უკრაინაში და ჰქონდა კავშირები უკრაინაში მყოფ ჩვენს მებრძოლებთან. ჯერ ეს ზოგადი ინფორმაცია გვაქვს. დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია, თუმცა მინდა გითხრათ ის, რაც არაერთხელ მილაპარაკია.

***– კერძოდ?***

– სერიოზულ ინფორმაციებზე და სერიოზულ ანალიზზე დაყრდნობით ვაცხადებ, რომ უკრაინაში და ოდესაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მასთან დაახლოებულ პირებთან ერთად და ეს არც ისე ფართო ჯგუფია, გეგმავენ და ემზადებიან საქართველოში სერიოზული დესტაბილიზაციის მოსაწყობად. ისინი ამისთვის სერიოზულ სამუშაოებს ატარებენ. დიდი იმედი მაქვს, რომ მათი ეს მცდელობა ჩაიშლება. მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო, რომ არ დავუშვათ დესტაბილიზაციის ტალღა. მე ასევე მაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სააკაშვილს საეჭვო პირებთან აქვს კავშირი.



***– საეჭვო პირებში ვის გულისხმობთ?***

– ის დაკავშირებულია გარკვეულ ტერორისტულ ჯგუფებთან, მათ შორის ისლამურ ტერორისტულ ჯგუფებთან. ეს დადგენილია, ეს არის ზუსტი ინფორმაცია! ამის აუდიო ვიდეო მასალაც არსებობს. ცნობილია მისი კავშირების შესახებ ისეთ მებრძოლებთან, რომლებიც გაერთიანებულები არიან ისეთ დაჯგუფებაში, როგორიცაა „ჯაბხატა ნუსრა“. ეს არის ფაქტი.

***– რა მიზანს ისახავს სააკაშვილი და მისი გარემოცვა?***

– თუ რა აქვთ მათ დაგეგმილი, რა ქმედებები უნდა დაიწყოს, როგორ უნდა აგორდეს დესტაბილიზაციის ტალღა, ეს ჩემთვის უცნობია. ამ კონკრეტული ინფორმაციების მოპოვებაზე უნდა იმუშაონ დაზვერვამ და უსაფრთხოების სამსახურებმა. ისიც საფიქრებელია, ამ კონკრეტული ტერორისტული აქტის მცდელობით ხომ არ ხდება ყურადღების გადატანა.

***– რას გულისხმობთ?***

– როცა საქმე ეხება ტერორისტულ საქმიანობას, ამ დროს ხდება ორმაგი, სამმაგი შენიღბვა. ყურადღების გადატანა მოხდება სხვა ფაქტზე და ამ დროს სულ სხვა რამე იგეგმება.

***– იმის თქმა გინდათ, რომ რაიმე უფრო სერიოზულს უნდა ველოდოთ?***

– დროულად მოხდა ამ ყველაფრის გამოაშკარავება და, როგორც ჩანს, ჩვენმა სამართალდამცავებმა არც ისე რთულად მიიღეს ეს ინფორმაციები. ამიტომ არსებობს ეჭვი, ხომ არ ემსახურება ეს ყურადღების გადატანას და სინამდვილეში ხომ არ იგეგმება გაცილებით სერიოზული ტერორისტული აქტი, გაცილებით სერიოზულ ობიექტზე ან სუბიექტზე. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ პარალელურად სხვა ჯგუფი მოქმედებდეს და მას სულ სხვა რამ ჰქონდეს დავალებული. ეს აპრობირებული მეთოდია.

***– ვინ უნდა იდგეს ამის უკან?***

– მე კონკრეტულად ხელს არავისკენ ვიშვერ, მაგრამ როდესაც ეჭვი გვაქვს ასეთი ტერორისტული აქტის გამოაშკარავებასთან, აღკვეთასთან, ყოველთვის ეჭვი უნდა გვქონდეს, რომ ეს ხომ არ ემსახურებოდა რაღაცის შენიღბვას, რომელსაც სამიზნედ შეიძლება ჰქონდეს გაცილებით მნიშვნელოვანი ობიექტი, ან სუბიექტი. ჩვენს სამსახურებს მეტი სიფრთხილის და ყურადღებისკენ მოვუწოდებ!

# პაატა ბურჭულაძე: „მეამაყება, რომ ტარიელ ონიანის შვილის ნათლია ვარ“

შორენა მარსაგიშვილი

## მსოფლიო ბანი მორიგ სკანდალში ეხვევა

სკანდალებით განებივრებული პაატა ბურჭულაძე მორიგ სკანდალში ეხვევა. გუშინ, 22 აგვისტოს, მისგან პარტიის ერთ-ერთი ლიდერი მერაბ მეტრეველიც წავიდა. მისი წასვლიდან მოკლე ხანში კი სკანდალური კადრები გამოქვეყნდა, საიდანაც ჩანს, რომ მსოფლიო ბანი ცნობილი კანონიერი ქურდის, ტარიელ ონიანის, ახლო მეგობარი და ნათელ-მირონია.

ამ კადრების გასაჯაროება გაზეთ „ქრონიკა +“-ის რედაქტორმა ელისო კილაძემ 21 აგვისტოს დააანონსა. სკანდალურ ფირზე ტარიელ ონიანის შვილის ნათლობაა გადაღებული. ონიანის ვაჟის ნათლია მსოფლიო ბანი გახლავთ. პომპეზური ნათლობა წლების წინ, შევარდნაძის დროს, საფრანგეთში გადაიხადეს.



– ეს არის ძალიან სერიოზული ღრეობა. იქ ბევრი საინტერესო დეტალია, მაგრამ ყველაზე მეტად თვალში მომხვდა ის, რომ მსოფლიო ბანმა, რომელიც გვიმტკიცებს, ჩემს ქვეყანაზე ვარ გულდათუთქულიო, პირველი სასმისით არა საქართველოს, არამედ საფრანგეთის სადღეგრძელო შესვა – ამ დიდებულ ქვეყანას გაუმარჯოს, ერთად რომ შეგვყარაო, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში ელისო კილაძემ.

მისი თქმით, ამ ღრეობის ამსახველ ფირში კიდევ ბევრი საინტერესო მომენტია დაჭერილი. ერთგან „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელის მამის სახეც ჩანს.

– გადაღებულია ცეკვის კადრები. ნათლად ჩანს, როგორ ისვრიან ფულს, რომელიც ტარიელ ონიანის მეუღლის ფეხებთან ყრია. ის ცეკვავს. ამ დროს დაფიქსირებულია „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ლიდერის, გიორგი ჩაკვეტაძის მამა – ბორია ჩაკვეტაძეც. „ოცნებამ“ უნდა განმარტოს, რა კავშირი აქვს მათი ერთ-ერთი ლიდერის მამას კრიმინალურ ავტორიტეტთან, – აღნიშნავს კილაძე.

ის კრიმინალური ავტორიტეტის შვილის ნათლობის ამსახველი ფირის გადაცემას პროკურატურისთვის აპირებს.

– მე ამ ფირებს გადავცემ საგამოძიებო უწყებას და დაველოდები. პროკურატურის რეაგირებაზე იქნება დამოკიდებული, ვისი პროექტია სინამდვილეში ბურჭულაძე – ქოცების თუ ნაცების, – ამბობს „ქრონიკა +“-ის რედაქტორი.

საქართველოს კანონმდებლობით დამნაშავეთა სამყაროსთან კავშირი დასჯადია. კანონიერი ქურდის შვილის მონათვლა რამდენად ისჯება, ვერ გეტყვით. როგორც წესი, ნათლიობაზე უარს არავის ეუბნებიან.

– აქ მარტო შვილის მონათვლაზე არ არის საუბარი. ტარიელ ონიანს და პაატა ბურჭულაძეს დღემდე ახლო ურთიერთობა აქვთ. საქართველოში ყოფილა შემთხვევა, როცა ადამიანი კანონიერ ქურდთან სატელეფონო ზარის გამოც კი დააკავეს, – აცხადებს კილაძე.

* * *

გავრცელებულ კადრებთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართა პაატა ბურჭულაძემ.

ის სამარცხვინოს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ კანონიერი ქურდის შვილის ნათლიაა.

– ძალიან სასიამოვნოა, რომ მისი ნათლია ვარ. მეამაყება, რომ ეს ახალგაზრდა ახლა ლონდონში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფინანსისტია. და საერთოდ, რაზეა ლაპარაკი? ნათლობაზე კარგი რა უნდა გააკეთოს ადამიანმა? მობრძანდით, მოგნათლავთ ყველას, – განაცხადა ონიანის ნათელ-მირონმა.

* * *

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ტარიელ ონიანის გვარმა პოლიტიკურად გაიელვა. 2003 წლის ვარდების რევოლუციიდან რამდენიმე დღის შემდეგ ტარიელ ონიანი მიხეილ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანიასთან ერთად წყნეთში შეხვდა თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანს.

შეხვედრა ერთ-ერთი კანონიერი ქურდის აგარაკზე შედგა. ონიანმა კობა კობალაძეს და ემზარ კვიციანს სთხოვა, არ ჩარეულიყვნენ პროცესებში და ხელი არ შეეშალათ ვარდოსნებისთვის, ბოლომდე გადაებარებინათ ხელისუფლება. როგორც ამბობენ, ამ შეხვედრას თავდაცვის მაშინდელი მინისტრი დავით თევზაძეც ესწრებოდა. კობალაძე და კვიციანი შეხვედრას ადასტურებენ, თუმცა ამბობენ, რომ იქ თევზაძე არ ყოფილა.

# ანა ნაცვლიშვილი: „ცესკომ პარტიებს არათანაბარი გარემო არ უნდა შეუქმნას“

– ძალიან მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდში ცესკო მოიქცეს იმგვარად, რომ პარტიებს არ შეექმნათ არათანაბარი გარემო და სამართლიანი არჩევნები არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

ამის შესახებ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ანა ნაცვლიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

საიას თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა იმ ვითარებაზე, რომლის თანახმად, საჯარო რეესტრის ვებგვერდზე ინფორმაცია 9 პარტიის ხელმძღვანელი პირის შესახებ არ არის განთავსებული.

**ანა ნაცვლიშვილი:**

– ხარვეზი არსებობდა კანონმდებლობაში და სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად ბოლო პერიოდში შესული ცვლილება, როდესაც ცესკომ დარეგისტრირების დროს სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად პარტიისგან უნდა მიიღოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, სადაც დაზღვეული იქნება ის შემთხვევები, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრაქტიკაში, როდესაც შესაძლოა პარტიას არ ჰყავდეს ხელმძღვანელი პირი და მაინც მოხდეს მისი რეგისტრაცია.



ეს საკანონმდებლო ხარვეზი არსებობდა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, წინასაარჩევნო პერიოდში ცესკომ იხელმძღვანელოს და მოიქცეს იმგვარად, რომ პარტიებს არ შეექმნათ არათანაბარი გარემო და სამართლიანი არჩევნები არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

საიას თავმჯდომარის თქმით, ცესკოს მხრიდან საუბარია, რომ დამატებითი ვადა იყოს განსაზღვრული პარტიების რეგისტრაციისთვის, რომელთაც ასეთი ტიპის პრობლემა შეექმნათ. თუმცა, ანა ნაცვლიშვილის შეფასებით, ეს სიტუაცია აჩვენებს, რომ არასწორად ხდება პროცესების დაგეგმვა და ძალიან მნიშვნელოვანი იყო, დროულად შესულიყო კანონში ცვლილება.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, საჯარო რეესტრის ვებგვერდზე ინფორმაცია 9 პარტიის ხელმძღვანელი პირის შესახებ არ არის განთავსებული. ცესკოში აღნიშნულ 9 პარტიას არ აკონკრეტებენ.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ხელს ვაიპოლიტიკოსები უშლიან“

## ზვიად ჩიტიშვილი: „ვთხოვთ პატრიარქს, კიდევ ერთხელ მოგვცეს კურთხევა შერიგებაზე“

ვინ უშლის ხელს ქართველებს, აფხაზებს და ოსებს შერიგებაში, ვინ აღვივებს კუთხურ შუღლს საქართველოში, რას სთხოვენ ოსები პატრიარქს? – ამის შესახებ „ახალ თაობასთან“ პოლიტიკური პარტია „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი საუბრობს.



**ზვიად ჩიტიშვილი:**

– ქართველების და ოსების შერიგებაზე ჯერ კიდევ მაშინ დავიწყე მუშაობა, ვიდრე პოლიტიკაში მოსვლას გადავწყვეტდი. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამე გავაკეთე. რაც ვიღაც-ვიღაცების ინტერესებში არ შედის. ამ ვაიპოლიტიკოსებმა ბინძური მეთოდებით დაიწყეს ჩემ წინააღმდეგ ბრძოლა. ეს სიბინძურე და ღვარძლი მარტო ჩემი მისამართით რომ წამოსულიყო, ხმას არ ამოვიღებდი. პოლიტიკაში ერთმანეთთან დაპირისპირება ახალი არ არის. მთავარი უბედურება ისაა, რომ ეს ვაიპოლიტიკოსები, თავიანთი უნამუსო განცხადებებით შერიგების პროცესს უშლიან ხელს. ეს შერიგება კი მომავალში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საწინდარი უნდა გახდეს. ყველამ კარგად იცის, რომ ჯერ აფხაზები და ოსები უნდა დავიბრუნოთ, ხოლო შემდეგ დაკარგული ტერიტორიები.

***– უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ, ვინ და რა განცხადებებით უშლის ხელს შერიგების პროცესს?***

– ახლა ამ ვაიპოლიტიკოსების დასახელებას არ დავიწყებ, არ მინდა, რეკლამა გავუკეთო მაგათ. თანაც ჯერ იმის დადგენა მინდა, ზუსტად ვინ და რა ძალები დგანან მათ უკან. რაღაც ეჭვები და ვარაუდები უკვე მაქვს. ეს ადამიანები გამოდიან და სხვა ვერაფერი რომ ვერ მომიძებნეს, ის მომდეს შარად, დედა ოსი ჰყავსო. ეს განცხადება გაკეთდა იმ ქვეყანაში, სადაც უამრავი შერეული ოჯახი ცხოვრობს. ასეთი სიბინძურე ითქვა იმ ქვეყანაში, რომელსაც დემოკრატიულობაზე აქვს პრეტენზია. ეს არის თავიდან ბოლომდე ქსენოფობიური განცხადება. არაა გამორიცხული, ამ ადამიანებს სასამართლოში ვუჩივლო.

საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს ლამის ამინდის გაუარესებაზეც კი აქვთ პრეტენზიები და მაინტერესებს, ასეთი ქსენოფობიური განცხადება როგორ გამორჩათ. რამდენიმე წლის წინ, მეჩეთის სიახლოვეს გოჭის თავი დაკიდეს, ამაზე მთელი საჩივრები დაწერეს და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტშიც იჩივლეს. ამ ქსენოფობიურ გამოხდომაზე კი არანაირი რეაგირება არ ჰქონიათ.

მივმართავ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველს, საქართველოს მთავრობას, დაუყოვნებლივ მოახდინონ ასეთ გამოხდომებზე რეაგირება. ამ შემთხვევაში მარტო ჩემ წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებას არ ვგულისხმობ. უამრავ ასეთ ქსენოფობიურ გამოხდომას აქვს ადგილი. დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი შემთხვევითი არ არის და ეს პროცესი კონკრეტული ქვეყნების მიერ იმართება.

***– რომელი ქვეყნების ინტერესებში შედის საქართველოში ქსენოფობიური განცხადებების გაკეთება?***

– იმ ქვეყნების ინტერესებში, ვისაც არ აწყობს, რომ საქართველომ თავისი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მოაგვაროს. ჩვენ გარშემო ბევრია ისეთი ქვეყანა, ვისაც არ უნდა, რომ ქართველებმა აფხაზებთან და ოსებთან მშვიდად ვიცხოვროთ. მათ კარგად იციან, რომ თუ აფხაზებთან და ოსებთან გამოვნახავთ საერთო ენას, რუსეთი ხელს აღარ შეგვიშლის.

საქართველოს ხელისუფლების პირველი პირები ხშირად ამბობენ, რომ უნდა დავიბრუნოთ აფხაზი და ოსი ძმები. ამ ვაიპოლიტიკოსებით აპირებთ მათ დაბრუნებას? როგორ გგონიათ, მოინდომებენ აფხაზები და ოსები ჩვენსკენ მობრუნებას, როცა დაინახავენ, რომ აქ ადამიანს მხოლოდ იმიტომ ლანძღავენ, რომ დედა არაქართველი ჰყავს?

ამ ვაიპოლიტიკოსების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ თამარ მეფის დედაც ოსი იყო, მაგრამ გვყავდა მასზე უკეთესი დედოფალი? მისი მეუღლე დავით სოსლანიც ოსი იყო, მაგრამ არ აკეთებდა ქართულ საქმეებს? მთელი თავისი ცხოვრება საქართველოსთვის იბრძოდა. ჩვენ გვინდა, საპატრიარქოს ვთხოვოთ, რომ დავით სოსლანი წმინდანად შერაცხოს. ამისთვის საჭიროა ხელმოწერების შეგროვება. ეს პროცესი უკვე დავიწყეთ.

ან ქართულ ფეხბურთს ვინ მოუტანა ყველაზე დიდი გამარჯვება. შემთხვევითი არ არის ის ამბავი, რომ 1981 წელს დინამომ ევროპის თასი აფხაზი ვიტალი დარასელიას და ოსი ვოვა გუცაევის გოლებით მოიპოვა. ეს იყო ქართული ფეხბურთის გამარჯვება. საქართველოც მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს, როცა აფხაზებთან და ოსებთან საერთო ენას გამონახავს.

ამ ქსენოფობებს მინდა მივმართო და ვკითხო, რითი სჯობიან ისინი ჩვენს იმ თანამოქალაქეებს, ვისაც დედა ან ბებია არაქართველი ჰყავს. დიახ, მე ოსმა დედამ გამზარდა და როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, საქართველოს დასაცავად გამიშვა. ვეკითხები ამ ქსენოფობებს, სად იყვნენ მაშინ, როცა სამშობლოს ასე უჭირდა? აფხაზეთის ომში, მაშინ, როცა ბევრი ქართველი დუბაიში დასეირნობდა, ოსები ჩვენს გვერდით იბრძოდნენ.

მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, მიიღოს რაიმე ზომები ამ ვაიპოლიტიკოსების შესაჩერებლად. ესენი დროზე თუ არ გავაჩერეთ, მალე კუთხურ შუღლსაც გააღვივებენ. ასევე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო საქართველოს პატრიარქსაც. მისი სიტყვა ამ საქმეში იქნება ძალიან მნიშვნელოვანი.

***– პატრიარქმა პოლიტიკოსებს რა უნდა უთხრას?***

– არა, პატრიარქს იმაზე ვერ შევაწუხებ რომ ამ ვაიპოლიტიკოსებს მიმართოს. ჩვენს უწმინდესს მხოლოდ იმას ვთხოვ, რომ მან დააფიქსიროს პოზიცია.

***– რა პოზიცია უნდა დააფიქსიროს?***

– მხოლოდ იმის თქმაც საკმარისი იქნება, რომ ის შერიგების პროცესს მხარს ისევ უჭერს. მან ერთხელ უკვე დაგვლოცა ოსები, აფხაზები, ქართველები და რუსები. უწმინდესმა შერიგებაზეც მოგვცა კურთხევა. მან ამის შესახებ სვეტიცხოველშიც იქადაგა. ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა, მაგრამ ამ ვაიპოლიტიკოსების განცხადებებმა ბევრი რამე დააყენეს კითხვის ნიშნის ქვეშ. ახლა პატრიარქის განცხადება და პოზიცია ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

ჩემთვის აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემა ძალიან დიდი ტკივილია და ყველაფერს ვაკეთებ, რომ აფხაზები და ოსები შემოვირიგოთ. გადავწყვიტე, ამეშენებინა ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ და ოსურ ენებზე ჩატარდებოდა. ქსენოფობებმა რომ რაიმე კუდი არ მოაბან, მათთვის განვმარტავ, რომ ეკლესია არის მართლმადიდებლური.

ტაძრის აშენებაზე კურთხევა პატრიარქისგან ავიღეთ. ადგილი გამოგვიყვეს მცხეთის ცენტრში, სადაც დავიწყეთ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აშენება. წმინდა გიორგი ქართველების და ოსების საყვარელი წმინდანია. ეკლესიის საძირკველი პატრიარქის დავალებით მეუფე იაკობმა აკურთხა.



ამ ტაძრის მშენებლობისას გაჩნდა იდეა, რომ იქ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოიტანონ ქვები, თუნდაც კენჭები. თითქმის ყველა სოფელშია ეკლესია, მიმდებარე ტერიტორიიდან თუნდაც პატარა ქვა წამოიღონ, ოღონდ სასულიერო პირის კურთხევით. ასეთი ქვებით აშენებული ეკლესია კიდევ უფრო მადლიანი იქნება. მინდა იცოდეთ ისიც, რომ ამ ეკლესიის მშენებლობაზე დადებული ყველა ქვა ფიცის მატარებელია.

***– რა ფიცზე საუბრობთ?***

– როცა ეკლესიის აშენება გადავწყვიტეთ და ეს ამბავი გავახმაურეთ, დიდი დაინტერესება გამოიწვია. ძალიან ბევრი ოსი გამოგვეხმაურა როგორც ცხინვალიდან, ისე ვლადიკავკაზიდან. საძირკვლის კურთხევის ცერემონიალზე დასასწრებად ბევრი მათგანი ჩამოვიდა. ბევრი სტუმარი გვყავდა მაშინაც, როცა იქ პირველად ჩატარდა წირვა-ლოცვა. სტუმრებს შორის იყვნენ ისინი, ვინც ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა. მათ აქ დახვდა ის ხალხი, რომლებიც მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ. ეს ბიჭები შერიგდნენ და ფიცი დადეს, რომ ოდესმე თუ ვინმე კიდევ შეეცდება ჩვენს დაპირისპირებას, ისინი შუაში ჩადგებიან.

ამ ეკლესიას ჩვენ მშვიდობის კუნძულს ვეძახით და ვერ წარმოიდგენთ, რამხელა დაინტერესებაა მის მიმართ ვლადიკავკაზში. როგორც მითხრეს, ოსებს უკვე რიგი აქვთ დაკავებული, რომ ბავშვები ამ ეკლესიაში მონათლონ.

ამ ეკლესიის იდეამ მოხიბლა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მეთაური აგუზაროვიც. ის რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. მას აქ ჩამოსულმა ოსებმა პატრიარქის მიერ გაგზავნილი წიგნი გადასცეს საჩუქრად. აგუზაროვი თბილისში აპირებდა ჩამოსვლას, მაგრამ აღარ დასცალდა.

**ვლადიკავკაზში არის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია, სადაც ბოლო 80 წლის მანძილზე წირვა-ლოცვა აღარ ტარდებოდა. ეს ეკლესია ნელ-ნელა დაინგრა. რამდენიმე წლის წინ გადავწყვიტეთ მისი აღდგენა. რაღაც ნაწილი აღვადგინეთ. მერე ოსებმა გვითხრეს, რომ საკუთარი სახსრებით დაასრულებდნენ ამ საქმეს და ეს იქნებოდა საჩუქარი პატრიარქისთვის. რამდენადაც მე ვიცი, სწორედ აქ მოინათლა ილია მეორე.**

სამაგიეროდ, აქ დეპუტატები ჩამოვიდნენ, ისინი პატრიარქმა დალოცა. პატრიარქმა დალოცა ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ქართული დიასპორა და საქართველოში მცხოვრები ოსებიც. აქ ცხინვალიდან ჩემი ნათესავებიც ჩამოვიდნენ. ამის გამო ისინი ლეონიდ თიბილოვმა ოსების მოღალატეებად მონათლა. ამ ხალხმა ამხელა შეურაცხყოფა აიტანა და მიაჩნიათ, რომ შერიგებისთვის ამის გადატანა ღირდა. რამდენიმე ჩინოსანს თბილისში ჩამოსვლის გამო თანამდებობაც კი დაატოვებინეს. არც ისინი მისტირიან თანამდებობას. მათთვის მთავარია, რომ შერიგება იყოს. ოსებს პატრიარქის დიდი იმედი აქვთ და მისგან კიდევ ერთხელ ელოდებიან, რომ ის შერიგებას დაუჭერს მხარს.

მეც დიდი იმედი მაქვს ჩვენი უწმინდესის და მის გარეშე არც ერთი საქმე არ გამიკეთებია. მის კურთხევით გადავიტანე ქართული წიგნები როგორც ახალგორის რაიონში, ასევე ვლადიკავკაზში,. სადაც ქართული სკოლაა. კარგი იქნება თუ ჩვენი ხელისუფლება ამ სკოლის მიმართ კიდევ უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენს.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ ოსები პატრიარქისგან ელოდებიან პოზიციის დაფიქსირებასო. მათთვის ასეთი მნიშვნელოვანია მისი პოზიცია?***

– ვერ წარმოიდგენთ, რამხელა სიყვარულია მის მიმართ. ოსები დღემდე ამაყობენ იმით, რომ საქართველოს პატრიარქი ვლადიკავკაზში დაიბადა. მამისიც სასულიერო პირი იყო და ამ ქალაქში მსახურობდა.

ვლადიკავკაზში არის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია, სადაც ბოლო 80 წლის მანძილზე წირვა-ლოცვა აღარ ტარდებოდა. ეს ეკლესია ნელ-ნელა დაინგრა. რამდენიმე წლის წინ გადავწყვიტეთ მისი აღდგენა. რაღაც ნაწილი აღვადგინეთ. მერე ოსებმა გვითხრეს, რომ საკუთარი სახსრებით დაასრულებდნენ ამ საქმეს და ეს იქნებოდა საჩუქარი პატრიარქისთვის. რამდენადაც მე ვიცი, სწორედ აქ მოინათლა ილია მეორე.

სხვათა შორის, ამ ტაძარში წელს, ნინოობაზე პირველად ჩატარდა ქართულად წირვა. წმინდა ნინობა 27 იანვარსაა და საშინელი ყინვა იყო იმ დღეს. 20-გრადუსიან ყინვაში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ტაძარს არც ფანჯრები ჰქონდა და არც კარი. ხალხი და სასულიერო პირები ბოლომდე დარჩნენ.

ოსების გარდა, პატრიარქს დიდი პატივისცემით ეპყრობიან აფხაზებიც. მათთვისაც მნიშვნელოვანი იქნება მისი სიტყვა. ვაიპოლიტიკოსების ასი ათას განცხადებას მისი ერთი სიტყვაც გადაწონის. ამიტომ ვთხოვთ, კიდევ ერთხელ თქვას, რომ ის მხარს უჭერს ჩვენს შერიგებას.

***– თქვენ ერთხელ თქვით, რომ გინდოდათ კიდევ ერთი ეკლესიის აშენება, სადაც წირვა-ლოცვა ქართულ და აფხაზურ ენაზე აღევლინებოდა. ამ მიმართულებით რა ხდება?***

– ეს საქმეც დაწყებულია. ადგილი სამების საკათედრო ტაძრის უკან არის გამოყოფილი. ეს ეკლესიაც დიდ როლს ითამაშებს ჩვენს შერიგებაში. აფხაზები და ოსები ჩვენთან დიალოგისთვის მზად არიან. მე წინა ინტერვიუებშიც გითხარით, რომ აფხაზმა სამართალდამცავებმა პასუხისგებაში მისცეს გიგა ოთხოზორიას მკვლელი. არადა, ბოლო 23 წლის მანძილზე, ქართველის მკვლელობისთვის არავინ გაუსამართლებიათ.

მიმდინარე წლის სექტემბერში ცხინვალში რუსეთთან მიერთებაზე რეფერენდუმს ატარებდნენ. გავლენიანმა ოსებმა, რომლებიც ჩვენთან მეგობრობენ, თიბილოვს ამის გაკეთება დროებით გადააფიქრებინეს. იქ რეფერენდუმი მომავალ წელს ჩატარდება. ოსები დიდი ინტერესით ელოდებიან, თუ რა შედეგით დასრულდება აქ არჩევნები. იმედია, პარლამენტში ისეთი ვაიპოლიტიკოსები არ მოხვდებიან, რომლებიც ხელს შეუშლიან შერიგების პროცესის დაწყებას.

ამიტომაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი პატრიარქის პოზიციას. მას მართლა უნდა საქართველოს გამთლიანება და ამიტომაც მოგვცეს კურთხევა შერიგებაზე.

# „აფხაზეთიდან დევნილებში ნაცმოძრაობის მიმართ დიდი პროტესტია“

## ანზორ წოწონავა: „საჯარო მოხელეები პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს იცავენ“

მარიამ მჭედლიშვილი

ესა თუ ის პოლიტიკური პარტია ყოველთვის ცდილობდა საარჩევნოდ დევნილი მოსახლეობის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას. რა სიტუაციაა ამ მხრივ მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ? – „ახალი თაობა“ ამ საკითხზე ესაუბრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავას.

**ანზორ წოწონავა:**

– აფხაზეთიდან დევნილებით მანიპულირებას ბევრჯერ ეცადნენ პოლიტიკური პარტიები. დევნილი მოსახლეობა ბევრმა აქცია თავის იარაღად და სათამაშოდ. განსაკუთრებით საარჩევნოდ. პარტიები მოხერხებულად იყენებდნენ დევნილთა მძიმე სოციალურ მდგომარეობას. გარკვეული ხნის წინ უმაღლესი საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ, თამაზ ნადარეიშვილმა შექმნა პარტია „აფხაზეთი ჩემი სახლია“. ბუნებრივია, მისი მიზანი დევნილებით მანიპულირება არ იყო. მას სურდა, ამ პარტიას გაეტარებინა დევნილთა ინტერესები და ეზრუნა ტერიტორიული მთლიანობისთვის.

***– თუმცა, ამ პარტიამ წარმატებას ვერ მიაღწია.***

– მართლაც, „აფხაზეთი ჩემი სახლიამ“ 1%-ზე ცოტა მეტი ამომრჩევლის მხარდაჭერა მოიპოვა. ამ პარტიას არ ჰქონდა რესურსები. დევნილები კი, რომელთა რაოდენობა მაშინ დაახლოებით 280.000 იყო, თავიანთ სოციალურ პრობლემებში იყვნენ ჩაფლული და არ გამოიჩინეს ინტერესი ახალი პარტიის მიმართ. ეს არძინბამაც გაიგო. მან ეს ფაქტი გამოიყენა და გაეროსაც შეატყობინა, რომ აფხაზეთიდან დევნილები არ უჭერენ მხარს ამ პარტიას. არძინბას ლოგიკით, დევნილები აფხაზეთს თავის სახლად არ მიიჩნევენ. ეს მცდარი ლოგიკაა. ამ პარტიას რესურსები არ ჰქონდა, დევნილები კი მძიმე მდგომარეობაში იყვნენ და ამით სხვები სარგებლობდნენ.



***– ცესკოში ახლაც არის რეგისტრირებული დევნილთა პარტია.***

– დიახ, დევნილთა პარტია არსებობს და მოქმედებს, მაგრამ მასაც არ გააჩნია რესურსები.

***– ნაცმოძრაობას თუ აქვს მხარდაჭერა დევნილ მოსახლეობაში?***

– არა, არა. ნაციონალური მოძრაობის მიმართ დიდი პროტესტია. სწორედ ნაცმოძრაობისა და სააკაშვილის ხელისუფლებამ გამოყარა დევნილები სასტუმროებიდან. ზოგს კომპენსაცია მისცეს, მაგრამ ეს კომპენსაცია 7.000 დოლარი იყო, რაც მაშინდელი კურსით 10.000 ლარს უდრიდა. ამ თანხით ბინას ვერ შეიძენდი. გამოსახლებულებმა ვერც შეიძინეს საცხოვრებელი. ბევრი მათგანი უბინაოცაა და უმისამართოც. უბედურება ისაა, რომ ისინი დაარეგისტრირეს, როგორც საცხოვრებლით დაკმაყოფილებულები. ეს ახლაც ასეა რეგისტრაციაში გატარებული.

ნაცმოძრაობის მიმართ ცუდი განწყობაა. უმაღლესმა საბჭომ ამას წინათ გავაკეთეთ განცხადება არჩევნებთან დაკავშირებით. ჩვენ გამოვთქვით იმედი, რომ დევნილებს პოლიტიკური ალღო არ უღალატებს. ამაში დარწმუნებული ვარ. დევნილმა მოსახლეობამ ბევრი გადაიტანა, ბევრი რამ ისწავლა და ადვილად არც ერთი ოპოზიციური პარტიის ანკესზე არ წამოეგება.

***– დევნილების ბინებით უზრუნველყოფა გრძელდება?***

– ბუნებრივია. დევნილთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს. თუმცა, მოსაგვარებელია საორგანიზაციო საკითხები. კერძოდ, აქამდე ვერ მოხდა დევნილთა ოჯახების კატეგორიებად დაყოფა. ყველა უბინაომ უნდა იცოდეს, როდის მიიღებს საცხოვრებელს. პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდნენ უფრო გაჭირვებულები. დევნილები არ მოითხოვენ მათ დაკმაყოფილებას დღესვე.

დასაზუსტებელია სტატისტიკაც. ახლანდელი აპლიკაცია, რომელიც ოჯახებს ქულებს ანიჭებს, არაფრად ვარგა. მაგ აპლიკაციამ დაღუპა ხალხი. დევნილებში არის თვითმკვლელობის შემთხვევები. ამ საორგანიზაციო პრობლემების მოუგვარებლობა საეჭვოს ხდის იმასაც, რაც კეთდება. არადა, ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება. ვგულისხმობ სოციალურ მდგომარეობასაც, რომელიც უკეთესია, მაგალითად, 1995 ან 2005 წლებთან შედარებით, ასევე სხვა საკითხებს. თუნდაც, საარჩევნო კანონმდებლობას.

***– საარჩევნო კანონმდებლობას ბევრი გამკრიტიკებელი ჰყავს.***

– „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ საარჩევნო კანონმდებლობაში იმდენი ცვლილება შევიდა, რამდენიც ათი და მეტი წლის განმავლობაში არ შესულა. თუნდაც, საჯარო მოხელის შესახებ კანონი ავიღოთ. მისი მიღება მნიშვნელოვანია არჩევნებისთვისაც. ამ კანონით მარტო რანგირება კი არ ხდება, არამედ ცხადდება მოხელეებისათვის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. მოხელეები არ იქნებიან ჩართული საარჩევნო კამპანიაში.

***– ამ არჩევნებში ნაკლებ აქტივობას ელიან.***

– „მრგვალი მაგიდის“ არჩევის შემდეგ საქართველოში სულ ნაკლები აქტივობაა.

***– 2012 წელს ხომ იყო დიდი აქტივობა?***

– ეს გამონაკლისი იყო. ხალხი დაირაზმა იმისთვის, რომ დაემთავრებინა ნაციონალური მოძრაობის პარპაში. მაშინ ნაციონალურმა მოძრაობამ გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსი და გააყალბა არჩევნები. ამის შედეგად ნაცმოძრაობას პარლამენტში 40% აქვს. ამან შეუძლებელი გახადა კონსტიტუციაში საჭირო ცვლილებების შეტანა და სხვა გადაწყვეტილებების მიღება.

## მარტვილის საარჩევნო კომისიაში ფიზიკური დაპირისპირება მოხდა




№65-ე მარტვილის საოლქო-საარჩევნო კომისიაში კომისიის ერთ-ერთი მუდმივმოქმედი წევრი, ოლგა ჩურკანოვა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის მარტვილი-აბაშის მაჟორიტარობის კანდიდატის, ზაალ გოროზიას მეუღლეა, კომისიის წევრებს ფიზიკურად დაუპირისპირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომისიის თავმჯდომარემ გრიგოლ ბართაიამ განუმარტა, კომისიაში ჩვეულებრივი სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა, როდესაც ჩურკანოვა ოფისში ნასვამი მივიდა.

– ვმუშაობდით აბაშის საარჩევნო სიებსა და უბნებთან დაკავშირებით. შემოვიდა ჩვენი ერთ-ერთი წევრი ელგა ცანავა, რომელმაც მაგიდაზე დადო სამუშაო სია. ამ დროს შემოვიდა ოლგა ჩურკანოვა, რომელსაც რატომღაც ეგონა, რომ ცანავას ჰქონდა პარტიიდან მიცემული სია და მისი გადაცემა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო.

შემდეგ ჩურკანოვამ ეს სია ხელიდან გამოგლიჯა, მათ შორის მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება, რაც მოგვიანებით ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ყველა დაგვკითხეს მარტვილის პოლიციაში, – განაცხადა ბართაიამ.

მისივე ინფორმაციით, ცესკოს შიდა აუდიტი შესაბამის მოკვლევას განახორციელებს, რის შემდეგაც ცენტრალური საარჩევნო კომისია შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი კვირიკაშვილი: „ჩვენ არ ვაშენებთ „ზიზილ-პიპილო“ შენობებს“

ჩვენ შეიძლება არ ვაშენებთ იმდენ „ზიზილ-პიპილო“ შენობებს, მაგრამ ვაკეთებთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, საბაზისო ინფრასტრუქტურას.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ასპინძაში, მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.



პრემიერმა ასპიძელებს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გედევან ფოფხაძე წარუდგინა და გასული ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ რეფორმებზე ესაუბრა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, ხელისუფლებას ქვეყნის განვითარების კონკრეტული გეგმა გააჩნია, რაც გულისხმობს ძირეულ ცვლილებებს განათლების სისტემაში, რათა პედაგოგები იყვნენ გაცილებით დაფასებულნი.

გიორგი კვირიკაშვილი შეეხო მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს, რაც, მისი თქმით, საქმიან ადამიანს კიდევ უფრო გაუადვილებს ბიზნესის წარმოებას.

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ასპინძელებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

– არა მოქალაქეების ღირსების გადავლით, არამედ ერთმანეთის პატივისცემით, ჩვენ ავაშენებთ უკეთეს ქვეყანას – უკეთესი განათლების სისტემით, უკეთესი ინფრასტრუქტურით, უკეთესი გზებით, უკეთესი გაზიფიცირებით, უკეთესი სოფლის მეურნეობით და ეს არის მიღწევადი, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი ალიბეგაშვილი: „მერი მოვა მაშინ, როცა საკრებულოს წევრები გადაწყვეტენ“



– თბილისის მერის დავით ნარმანიას ანგარიშით საკრებულოში მისვლის დროზე გადაწყვეტილებას საკრებულოს თავმჯდომარე და მისი წევრები მიიღებენ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა განუცხადა.

გიორგი ალიბეგაშვილმა კომენტარი გააკეთა გუშინ, 22 აგვისტოს, ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც დავით ნარმანიას 25 აგვისტოს საკრებულოში ანგარიშით წარდგენას ეხებოდა.

საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, ვიდრე თბილისის მერი საკრებულოში მივა, საქმიანი შეხვედრა ექნება ქალაქის ეკოლოგიის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელთან, რათა გაარკვიონ, როგორ მიმდინარეობს მოკვლევა ყაზბეგის გამზირზე ხეების ჭრის ფაქტთან დაკავშირებით.

ალიბეგაშვილის განაცხადებით, ეკოლოგიის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელთან შეხვედრის შემდეგ რა კითხვებიც გაუჩნდება მას, თბილისის მერთან შეხვედრაზე დასვამს.

საკრებულოს თავმჯდომარემ არ დააკონკრეტა, როდის გაიმართება ეკოლოგიის საქალაქო სამსახურის უფროსთან შეხვედრა და საკრებულოს ოპოზიციის მოთხოვნის შესაბამისად, 25 აგვისტოს მივა თუ არა თბილისის მერი საკრებულოში.

– როდესაც ამას საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს წევრები გადაწყვეტენ, უახლოეს მომავალში, მერი მაშინ მოვა, – აღნიშნა გიორგი ალიბეგაშვილმა.

საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ერთობლივად ხელი მოაწერეს განცხადებას, რითაც თბილისის მერს საკრებულოში 25 აგვისტოს რიგგარეშე ანგარიშით იწვევენ. ერთობლივ განცხადებას 13 ოპოზიციონერი დეპუტატი აწერს ხელს.

**ინტერპრესნიუსი**

## ბიძინა ივანიშვილი ტელეეთერს უბრუნდება




ივანიშვილი ტელეეთერს უბრუნდება. მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ჯიდიესის პროექტში სექტემბრიდან გამოჩნდება. მისი თანაწამყვანები ჟურნალისტები მიშა ფეიქრიშვილი და ნათია თოიძე იქნებიან.

როგორც გადაცემის ერთ-ერთმა თანაწამყვანმა, მიშა ფეიქრიშვილმა ამბები.გე-ს განუცხადა, ეს არ იქნება ბიძინა ივანიშვილის გადაცემა, ეს იქნება ჯიდიესის წინასაარჩევნო პროექტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილი გადაცემაში იქნება სტუმარი, რომელიც, წამყვანების შეკითხვების გარდა, სხვა ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხებს.

გადაცემა კვირაში ერთხელ, პირდაპირ ეთერში გავა.

– საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან გავალთ ეთერში, გადაცემაში მოვიწვევთ ადგილობრივ ჟურნალისტებსაც და მათ საშუალება ექნებათ დასვან შეკითხვები. დასკვნითი გადაცემა თბილისიდან იქნება, – განაცხადა მიშა ფეიქრიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

პოლიტიკა

# ოთო კახიძე: „პროკურატურა თედო კობახიძის საქმიანობით უნდა დაინტერესდეს“

ნაციონალური მოძრაობის წევრი ოთარ კახიძე ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემა „პოსტსკრიპტუმში“ გასულ ინტერვიუს ეხმაურება, რომელშიც თბილისის საკრებულოს იურიდიული კომისიის ყოფილი თანამშრომელი ბადრი ჯავახიშვილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მანანა კობახიძის ძმას, საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე თედო კობახიძეს ფულის გამოძალვაში ადანაშაულებს და მის მიერ პროკურატურაში ჩაწყობილ საქმეებზე მიუთითებს.

ოთარ კახიძე მთავარ პროკურატურას ამ საქმით დაინტერესებისკენ მოუწოდებს, თუმცა დასძენს, რომ შესაძლოა თედო კობახიძე მთავარ პროკურორთან შეთანხმებით მოქმედებდეს.

**ოთო კახიძე:**



– შემაშფოთებელია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის ძმა და საქართველოში მაღალი თანამდებობის პირი იყენებს საკუთარ ზეგავლენას იმისთვის, რომ სხვადასხვა პირებს გაუფორმდეთ საპროცესო შეთანხმება და ამაში იღებს ანაზღაურებას.

ადამიანს, რომელიც საჯარო სამსახურშია, არ აქვს უფლება ეწეოდეს საადვოკატო საქმიანობას. ეს ადამიანი იღებს ფულს, მერე ურეკავს პროკურორს და აკეთებს საპროცესო შეთანხმებას, ანუ, შემოვლითი გზით ეწევა საადვოკატო საქმიანობას და ვაჭრობს იმით, რომ მანანა კობახიძის ძმაა.

ეს არის პირდაპირ კორუფცია, ზეგავლენით ვაჭრობა და დანაშაული. მანანა კობახიძის ძმა რომ ამას აკეთებს, წარმოიდგინეთ, რას აკეთებენ მინისტრები, პარლამენტარები და ის ადამიანები, რომლებსაც უფრო მაღალი პოლიტიკური წონა აქვთ.

ჩვენ აქამდე ვიცოდით, რომ ადგილი ჰქონდა თანამშრომლების წილებში ჩაჯდომას, შემდგომ გავიგეთ, რომ ეს არის მიღებული პრაქტიკა, რომ ადამიანებს ეკუთვნით ანაზღაურება და ამ ანაზღაურების წილში მათი ხელმძღვანელი ზის.

ახლა კი ვიგებთ, რომ ხდება საპროცესო შეთანხმებები. კარგია ის, რომ 8 ოქტომბერს ჩვენ ამ პრაქტიკას დავასრულებთ.

როგორც ბადრი ჯავახიშვილმა პიესთან საუბარში აღნიშნა, მას შემდეგ, რაც თედო კობახიძე გამოძალვაში ამხილა, მასზე ზეწოლა დაიწყო, რის გამოც ქვეყნის დატოვების და ევროპაში პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის გადაწყვეტილება მიიღო.

**მედიანიუსი**

# აუდიტის სამსახური ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტს შეამოწმებს

ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატების მოთხოვნით, ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტს აუდიტის სამსახური შეამოწმებს.

როგორც თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა თამარ ამაშუკელმა ბრიფინგზე განაცხადა, 4 აგვისტოს პარტიის ინიციატივით, ოფიციალური წერილი გაეგზავნა აუდიტის სამსახურს მოთხოვნით, რომ შეემოწმებინათ ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტი.

მისივე თქმით, თავისუფალი დემოკრატებისათვის ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში გამოვლენილია საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერი ფლანგვა, სამუშაო შტატების არარაციონალური ზრდა.

– აუდიტის სახელმწიფო სამსახურისგან მოვითხოვთ, რომ შემოწმება განხორციელდეს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, რათა გაირკვეს, თუ სად და როგორ იხარჯებოდა ვეტერანებისთვის განკუთვნილი ფინანსები, – აღნიშნა ამაშუკელმა.

თავისუფალი დემოკრატების მიმართვამ შედეგი გამოიღო და აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მიერ გამოგზავნილი წერილის საფუძველზე, აუდიტის სამსახური არაგეგმურად შეამოწმებს ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ფინანსურ საქმიანობას, თუმცა არ არის მითითებული, როდის და რა ვადებში მოხდება ამ პროცედურების ჩატარება.

– თავისუფალი დემოკრატებისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ უმოკლეს ვადებში დაიწყოს მოკვლევა და არ გაიწელოს საარჩევნო პროცესის დასრულებამდე. ამ დეპარტამენტში არაერთი დარღვევაა, რაზეც ჩვენ ბევრჯერ ვისაუბრეთ და, შესაბამისად, ვითხოვთ სასწრაფო მოკვლევას, – განაცხადა ამაშუკელმა.

**მედიანიუსი**



# რა იწვევს პიელონეფრიტს და როგორ ვიმკურნალოთ ხალხური მედიცინით

პიელონეფრიტი გავრცელებული ინფექციური დაავადებაა. მისი განვითარების მიზეზი უფრო ხშირად სხვადასხვა ბაქტერიებია, მაგალითად, სტაფილოკოკი, ნაწლავის ჩხირი, სტრეპტოკოკი, რომლებიც თირკმელებში ინფექციის სხვადასხვა კერიდან ხვდება, კერძოდ, სისხლიდან, ლიმფიდან ან შარდსაწვეთის არხიდან.

თირკმლის მენჯსა და ფიალებში მოხვედრილი ინფექციის შედეგად მის ლორწოვან გარსში განვითარებული ანთება შემდგომში მთელ თირკმელზე ვრცელდება, ზიანდება თირკმლის ქსოვილი, მილაკები, ირღვევა ადგილობრივი სისხლის მიმოქცევა.

პიელონეფრიტის პირველი კლინიკური სიმპტომები ჩნდება სხვადასხვა ავადმყოფობის, მაგალითად, მწვავე რესპირატორული დაავადების, ანგინის, ქუნთრუშის, დიზენტერიისა და სხვათა მიმდინარეობის ან მათი ჩამთავრების შემდეგ.

თავიდან ქრონიკული პიელონეფრიტი თითქმის უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ავადმყოფობის გამოვლინება შეიძლება, მოხდეს გადატანილი ცისტიტის შემდეგ ან შემთხვევით, შარდის ანალიზის გამოკვლევისას შარდკენჭოვანი დაავადების ან ჰიპერტონიის დროს.

ქრონიკული პიელონეფრიტის საერთო სიმპტომებია მომატებული ტემპერატურა, ზოგჯერ შემცივნება, საერთო სისუსტე, ადვილად დაღლა, უმადობა, გულისრევა, ანემია, კანის



სიმშრალე, არტერიული ჰიპერტონია.

შეიძლება აღინიშნოს ტკივილი წელის არეში, შარდის გამოყოფის დარღვევა და ასე შემდეგ.

ხშირად, პიელონეფრიტი თირკმლის ფუნქციის დარღვევის მიზეზი ხდება, რის გამოც ყალიბდება თირკმლის ქრონიკული უკმარისობა. ამიტომ, ეს დაავადება სასწრაფო მკურნალობას საჭიროებს.

ქრონიკული პიელონეფრიტის მკურნალობა მხოლოდ ქიმიური პრეპარატებით არის მიზანშეწონილი, რადგან ანტიბიოტიკების უმრავლესობა ნეფრიტოქსიკურია.

ფიტოთერაპიაში არსებობს პიელონეფრიტის მკურნალობის რეცეპტები, რომლებიც საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა ამ დაავადების უკან დასახევად.

* 20 გრამ დათვის კენკრას, 20 გრამ წითელი მოცვის, 20 გრამ მრავალძარღვას, 10 გრამ შავი მოცხარის ფოთოლს, 10 გრამ არყის ხის ფოთლებს, 20 გრამ ჭინჭრის ფოთლებს, 60 გრამ ასკილის ნაყოფთან ერთად ერთმანეთში აურევთ. ორი სუფრის კოვზ ნარევს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი და გააჩერეთ დაახლოებით 2-3 საათი. 100 გრამი ნაყენი მიიღეთ დღეში სამჯერ, ჭამის წინ.

* 10 გრამ არყის ხის ფოთოლს, 10 გრამ დათვის კენკრას, 100 გრამ შვიტას ბალახს, 10 გრამ ბაბუაწვერას ძირს, 20 გრამ ღვიის ნაყოფს, 20 გრამ წითელი მოცვის ფოთოლს, 20 გრამ სელის თესლს, 10 გრამ ძირტკბილას ძირს ერთმანეთში აურევთ. ორი სუფრის კოვზ ნარევს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი, გააჩერეთ 4 საათით თერმოსში. მიიღეთ ასასი გრამი დღეში 4-ჯერ, საჭმლის მიღებამდე ნახევარი საათით ადრე.

გაითვალისწინეთ, რომ მკურნალობის პროცესში აუცილებელია დიეტა. მდგომარეობის გაუმჯობესებისას, ყურადღება მიაქციეთ ისეთ დაავადებებს, რომელიც ინფექციის კერაა, მაგალითად, ტონზილიტს, ადენოდს, ქრონიკულ ცისტიტს, ურეთრიტს, გრიპს და ასევე, გახსოვდეთ, რომ პიელონეფრიტის პროფილაქტიკის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა შარდის ხშირად გამოყოფა.

# ხალხური მედიცინა გულის სამსახურში



**სტენოკარდიისა და სისხლის მიმოქცევის უკმარისობის დროს:**

ერთმანეთში აურიეთ 1 ლ თაფლი, 10 ც ლიმონის წვენი, 10 თავი დანაყილი ნიორი, ჩაასხით მინის ქილაში, თავზე დაახურეთ და ერთი კვირა გააჩერეთ. მიიღეთ 4 ჩ/კ ერთ ჯერზე ყოველდღე (ნელა ჩაყლაპეთ). ეს ულუფა 2 თვის სამყოფია.

2 ს/კ კუნელის ყვავილს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი და 10 წუთით ადუღეთ. გააცივეთ, გაწურეთ და მიიღეთ 1 ს/კ 3-4-ჯერ დღეში. კუნელი ტონუსს მატებს გულის კუნთს, შველის არითმიას და ტაქიკარდიას, აქვეითებს არტერიულ წნევას.

10 გ კუნელის ხმელ ყვავილს დაასხით 100 გ არაყი და გააჩერეთ 21 დღე ბნელ და გრილ ადგილას. გაწურეთ და მიიღეთ 7 წვეთი თბილ წყალთან ერთად. ჩვენებები იგივეა, რაც წინა რეცეპტის დროს.

სტენოკარდიის დროს შეურიეთ ერთმანეთს თითო წილი კრაზანა, ფარსმანდუკი, ვალერიანის ფესვი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი, 3 საათი გააჩერეთ, შემდეგ დადგით ცეცხლზე და 5 წუთი ადუღეთ. გააცივეთ და გაწურეთ. მიიღეთ 3-ჯერ დღეში.

გულის ფრიალის დროს – 1-2 ჩ/კ ლურჯ ღიღილოს დაასხით 1 ჩ/ჭ ადუღებული წყალი, 1 საათი გააჩერეთ. მიიღეთ 1/4 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში ჭამამდე 10-15 წუთით ადრე.

**ინფარქტის შემდეგ:**

შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის წყლის სამყურას ყვავილი, ძიძოს ბალახი, კამის თესლი, პიტნის ფოთოლი, ასკილის ნაყოფი, აბზინდის ღერო. 1 ს/კ ნარევს დაასხით 300 მლ ადუღებული წყალი, 6 საათი გააჩერეთ და გაწურეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა 4-5-ჯერ დღეში.

შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის მარწყვის, წყალწაწყენისა და ქაფურის ფოთლები, ქრისტესისხლა და ტიგანი, ძახველის ყვავილი. ნარევი დაფქვით და 1 ს/კ კოვზს დაასხით 300 მლ მდუღარე წყალი, 2 წუთი ადუღეთ, 2 საათი გააჩერეთ თბილ ადგილას, გაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჭიქა თბილი ნახარში ჭამის შემდეგ.

ერთმანეთს შეურიეთ თანაბარი რაოდენობის კამის თესლი, ცაცხვის, კუნელის, კალენდულას ყვავილი და შვრიის ღერო. 5 გ დაქუცმაცებულ ნარევს დაასხით 250 მლ მდუღარე წყალი, 3 საათით გააჩერეთ თერმოსში, გაწურეთ და მიიღეთ 50 მლ თბილი ნაყენი 3-4-ჯერ დღეში. ჭამამდე 30 წუთით ადრე.

ეს ნაყენები მიიღეთ ინფარქტიდან ნახევარი წლის განმავლობაში. ნაკრები ცვალეთ 2 თვეში ერთხელ.

რა თქმა უნდა, ეს სამკურნალო საშუალებები დამატებითია იმ მკურნალობასთან ერთად, რასაც ექიმი დაგინიშნავთ.

გახსოვდეთ! გულის დაავადებების დროს რეკომენდებული ხალხური მედიცინის რეცეპტები სიფრთხილით უნდა გამოიყენოთ. შეიძლება არასწორმა მიღებამ ან დოზის გადაჭარბებამ სავალალო შედეგი გამოიწვიოს.

# მაღალი არტერიული წნევის დროს შავბალახას ნაყენი უებარი საშუალებაა



სამკურნალო მცენარე შავბალახა შეიცავს ალკალოიდებს, ფლავინოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთს, ასკორბინის მჟავას, მინერალურ მარილებს და ასე შემდეგ.

შავბალახა შესანიშნავი დამამშვიდებელი საშუალებაა. მისი მოქმედება თითქმის 3-4-ჯერ აღემატება აპრობირებულ კატაბალახას მოქმედებას.

ხალხურ მედიცინაში მას ასევე იყენებენ საგულე საშუალებად, ხუთვის, წყალმანკის, კუჭის სპაზმების, მალარიის, კუჭ-ნაწლავის დაავადების, ნერვული აშლილობის და შიშების დროს.

შავბალახას ნაყენს ასე მოამზადებთ: ერთ ან ორ სუფრის კოვზ გამხმარ ბალახს, რომელიც აფთიაქებში იყიდება, დაასხით 250 მილიგრამი წყალი. ადუღეთ, სანამ დაახლოებით, 12 სუფრის კოვზი არ დარჩება. დალიეთ ორი სუფრის კოვზი, დღეში რამდენჯერმე ან ნახევარი ჭიქა – დღეში ორჯერ.

ხალხურ მედიცინაში შავბალახას იყენებენ სისხლის მაღალი წნევის დასარეგულირებლად, გულის რიტმის დამამშვიდებელ, კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალებად. ამ შემთხვევაში, ორი ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს დაასხით 200 მილილიტრი ცივი წყალი, დადგით და გააჩერეთ დაახლოებით რვა საათით. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ ერთი დღის განმავლობაში.

ასევე, ორი სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს დაასხით 500 მილილიტრი მდუღარე წყალი. დადგით ორი საათით. მიიღეთ ღვინის ჭიქით, დღეში ოთხჯერ, ჭამის წინ.

მედიცინაში, ასევე იყენებენ ნედლი შავბალახას წვენს, როგორც დამამშვიდებელ საშუალებას. ამ შემთხვევაში ის უნდა მიიღოთ 30-40 წვეთი, დღეში რამდენჯერმე.

# ყველა დაავადების მიზეზი ნერვიულობაა

თანამედროვე ცხოვრების რიტმი ნერვებს გიშლით, გაღიზიანებთ. ამიტომ აუცილებელია დაასვენოთ გადაღლილი ნერვები. ამაში დაგეხმარებათ ხალხურ მედიცინაში ცნობილი სვია.



სვიის გირჩა შეიცავს 80% ფისს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთეროვან ზეთს. სვიით დამზადებულ სამკურნალო საშუალებებს აქვს დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი თვისება.

**გთავაზობთ რეცეპტებს:**

**სვიის ჩაი:** 1-2 ჩ/კ სვიის გირჩას დაასხით 150 მლ მდუღარე წყალი, თავდახურული 10-15 წუთი გააჩერეთ. გაწურეთ და სვით 2-3 ფინჯანი დღეში.

ძილის წინ მიიღეთ დამამშვიდებელი აბაზანა: აბაზანაში ჩაასხით 1 ჩ/კ სვიის ზეთი, 1 ს/კ თაფლი და 10-15 წუთით ჩაწექით თბილ წყალში. ნერვები დაგიმშვიდდებთ.

# მკურნალი ბუნება



**წიწმატურა** – აჩერებს სისხლიან ხველას და სისხლდენას. სასარგებლოა ნაწლავების წყლულის დროს, რადგან გააჩნია დამამშვიდებელი თვისება. წიწმატურა დადებთ თვისებებს ავლენს როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი გამოყენებისას, ასევე, ოყნის სახითაც.

კუჭი ანთებისას, რეკომენდებულია მტკივანი ორგანოს არეზე წიწმატურას ფოთლების დადება. შინაგანად მიღებული წიწმატურას ფოთლები შველის კუჭის დაავადებებს, რომლებსაც კუჭშეკრულობა ახლავს. თუ წიწმატურას ფოთლებს ახალ ჭრილობაზე დაიდებთ, უფრო სწრაფად შეხორცდება.

წიწმატურა შველის სიმსიმვნის, წყლულის, ჩირქგროვის დროს. ნედლ ფოთლებს გააჩნია დამამშვიდებელი და ტივილგამაყუჩებელი თვისება, სხვადასხვა ანთებების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ წიწმატურა მავნებელია ფილტვებისათვის. ამის გამოსწორება შეიძლება ლეღვის მიღებით.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ისრაელში ახალ ტერაქტებს მოელიან

ისრაელის დაზვერვის ცნობით, მოსალოდნელია ახალი ტერაქტები. ისლამისტები აპირებენ აფეთქებები მოაწყონ რესტორნებში, კაფე-ბარებში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.

ანტიტერორისტული ღონისძიებები სულ უფრო აქტიურდება. კერძოდ, დაგეგმილია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაცვის გაძლიერება, პოლიციური რეჟიმის გამკაცრება.

ისრაელის ხელისუფლება ტერაქტების ასაცილებლად ემზადება.





# ერაყში 35 ტერორისტი სიკვდილით დასაჯეს

ერაყში 35 ტერორისტის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

მათ დაუმტკიცდათ 2014 წელს შიიტ კადეტებზე თავდასხმა, რის შედეგადაც კადეტების უმრავლესობა დაიღუპა.

ამ მსხვერპლის შემდეგ შიიტები ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მასობრივად ჩაებნენ.

ყველა განსასჯელი ისლამური სახელმწიფოს წევრი იყო. მათ სინდისზე არაერთი მკვლელობაა.

# ტერაქტი სომალიში

ქალაქ გალკაიოს ცენტრში აფეთქება მოხდა. დაიღუპა 23 ადამიანი, 70-მდე დაშავდა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაცია „ახალგაზრდა მოჯაჰედებმა“ აიღო.

„ახალგაზრდა მოჯაჰედები“ მჭიდროდაა დაკავშირებულ ალ-ქაიდასა და სხვა მსგავს ორგანიზაციებთან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ





# უკრაინამ რუსეთის თავდაცვის მინისტრზე ძებნა გამოაცხადა

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ რუსეთის თავდაცვის მინისტრის, სერგეი შოიგუსა და კიდევ 17 რუსი მაღალჩინოსნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

პროკურატურაში აცხადებენ, რომ ყველა მათგანი უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი. უკრაინის გენერალური პროკურორის, იური ლუცენკოს თქმით, ყველა ეჭვმიტანილზე ძებნა გამოცხადდა. სერგეი შოიგუს გარდა, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია მისი ორი მოადგილის, ასევე რუსეთის პრეზიდენტის მრჩევლის, სერგეი გლაზიევისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების 10 გენერლის წინააღმდეგ.

ლუცენკოს ცნობით, ამჟამად უწყება ამზადებს შუამდგომლობას სასამართლოსთვის აღნიშნული პირების დაკავების ორდერის მიღების მიზნით.

# „ევროკავშირს ერთიანი ევროპული არმია სჭირდება“

ჩეხეთის პრემიერ-მინისტრის ბოჰუსლავ სობოტკას განცხადებით, გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირს ერთიანი ევროპული არმია სჭირდება.

მისი თქმით, გერმანიასა და საფრანგეთში მომხდარი თავდასხმების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ევროპა სხვადასხვა სახის საფრთხეებისთვის უნდა იყოს მზად.

როგორც სლობოტკამ აღნიშნა, მიგრაციულმა კრიზისმა ასევე დაადასტურა, რომ საჭიროა ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვა.

– დარწმუნებული ვარ, გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ ერთიანი ევროპული არმია გვჭირდება, – აღნიშნა ჩეხეთის პრემიერმა. მისი ცნობით, აღნიშნულ საკითხზე კონკრეტული წინადადებები შესაძლოა, ევროპული საბჭოს უახლოეს შეხვედრებზე გაჟღერდეს.

ინტერპრესი



# დღის კალენდარი



## 23 აგვისტოსთვის

**წლის 226-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 140 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

ხსენება მოწამე მთავარდიაკონისა ლავრენტისა, სიქსტე პაპისა, ფელიქსიმე და აღაპიტე დიაკონთა, რომანოზისა – რომაელთა (258).

წმიდანები ევნენ 258 წელს იმპერატორ ვალერიანეს დროს. ათენელი სიქსტე ესპანეთში ქადაგებდა და ბოლოს წმიდა პაპ სტეფანეს მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ რომის ეპისკოპოსად აკურთხეს. მალე იგი შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს. მთავარდიაკონმა ლავრენტიმ სიქსტეს სთხოვა, ყველაფერი გაეყიდა და უფლის გზას გაყოლოდა. წმიდანმა შეასრულა ეს თხოვნა და იმპერატორის ბრძანებით ისიც დილეგში ჩააგდეს. მალე მათ თავი მოჰკვეთეს.

წმიდა ლავრენტის ცხედარი პატივით დაკრძალეს 258 წლის 23 აგვისტოს.

**დაიბადნენ:**

1754 – ლუი XVI, საფრანგეთის მეფე. 1793 წელს სიკვდილით დასაჯეს.

1769 – ჟორჟ კიუვიე, ფრანგი ზოოლოგი.

1887– სანდრო ინაშვილი, ცნობილი მომღერალი.

1925 – სულხან ცინცაძე, კომპოზიტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**გარდაიცვალნენ:**

1806 – შარლ ოგიუსტენ კულონი, აღმოაჩინა ელექტროსტატიკის ძირითადი კანონი.

1943 – იოჰან ზილცერი, გერმანელი კომპოზიტორი.

1958 – როჟე მარტენ დიუ გარი, ფრანგი მწერალი.

1982 – სტენფორდ მური, ამერიკელი ბიოქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**მოვლენები:**

476 – დასავლეთ რომის იმპერია საბოლოოდ დაეცა.

1821– მექსიკამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

1839 – ბრიტანეთმა დაიპყრო ჰონკონგი.

1905 – დაიდო პორტსმუტის სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთსა და იაპონიას შორის.

1914– იაპონიამ ომი გამოუცხადა გერმანიას.

1939 – სსრკ-მა და ფაშისტურმა გერმანიამ ხელი მოაწერეს პაქტს თავდაუსხმელობის შესახებ.

1948 – შეიქმნა მსოფლიო ეკლესიათა სათათბირო (44 ქვეყნის 147 ეკლესია).

1962 – ნაჩვენები იქნა პირველი პირდაპირი სატელევიზიო პროგრამა „ევროპა – აშშ“.

1990 – სომხეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

1990 – აღმოსავლეთი და დასავლეთი გერმანია გაერთიანდა.

# საზღვრის უკანონოდ ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით ოთხი პირი დააკავეს

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, პირველი სამმართველოს (ბათუმი) Ⅱ1 სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, შრი-ლანკის რესპუბლიკის 3 და თურქეთის რესპუბლიკის 1 მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ შრი-ლანკის რესპუბლიკის 3 მოქალაქე, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქის დახმარებით ცდილობდა.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

მედიანიუსი

## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ილიას ზუროსის გუნდი პოლონეთშია



საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები პოლონეთში გაემგზავრა, სადაც ქალაქ ვლოცლავეკში ამხანაგურ, საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ბერძენი სპეციალისტის, ილიას ზუროსის გაწვრთნილი გუნდი პოლონეთში 13 კალათბურთელით ჩავიდა.

23 აგვისტოს საქართველოს ნაკრები 2-ჯერ ივარჯიშებს და 24-ში პირველ შეხვედრას გამართავს შვედეთის ეროვნულ გუნდთან. მეორე წყვილში პოლონეთი ბელგიას დაუპირისპირდება. 25 აგვისტოს გამარჯვებულები ერთმანეთს ტურნირის გამარჯვებულის გამოსავლენად დაუპირისპირდებიან, ხოლო დამარცხებულები მე-3 ადგილს გაითამაშებენ.

ჩვენი ნაკრების საპოლონეთო შემადგენლობა ასეთია:

**უკანახაზელები:** გიორგი ცინცაძე (რუანი, საფრანგეთი), მაიკლ დიქსონი (ნიმბურკი, ჩეხეთი), დუდა სანაძე (სან დიეგო, ნცაა), ბესიკ ლეჟავა (ბათუმი), ლუკა ზაქრაძე (დინამო), ანატოლი ბოისა (ქუთაისი), კახა ჯინჭარაძე (მგზავრები);

**ფორვარდები:** თორნიკე შენგელია (ლაბორალ კუჩა, ესპანეთი), ვიქტორ სანიკიძე (თედ კოლეჯი, თურქეთი), ბექა ბურჯანაძე (ანდორა ესპანეთი), ბექა ბექაური (ქუთაისი);

**ცენტრები:** ზაზა ფაჩულია (გოლდენ სტეიტი, ნბა), გიორგი შერმადინი (ანდორა ესპანეთი);

# 16 წლამდე ნაკრები მე-12 ადგილზე გავიდა



საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ბ დივიზიონში ასპარეზობა მე-12 ადგილზე დაასრულა. ტურნირის უკანასკნელ მატჩში ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილი გუნდი ჰოლანდიას შეხვდა და 47:69 დამარცხდა.

ეს გახლდათ მესამე მატჩი ჯგუფური ეტაპის შემდეგ, სადაც საქართველომ 5-დან 2 შეხვედრა მოიგო და პლეი ოფში ვერ გავიდა. ჯგუფში ჩარჩენის შემდეგ ქართველებმა 9-16 ადგილებისთვის ბრძოლაში გადაინაცვლეს და პირველ შეხვედრაში რუმინეთი დაამარცხეს. თუმცა მომდევნო მატჩები პორტუგალიასა და ჰოლანდიასთან დათმეს და საბოლოოდ მე-12 ადგილს დასჯერდნენ.

არც ჰოლანდიასთან არ უთამაშია ჩვენი ნაკრების ლიდერ ოთარ პერტაიას. მოედანზე ვერ გავიდა ასევე ბორის თორთლაძე. დასუსტებულმა საქართველოს ნაკრებმა ჰოლანდიელებს წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია, რომელიც 33:35 დათმო, ხოლო მესამე და მეოთხე პერიოდები შესაბამისად 7:16 და 7:18 დათმო და საბოლოოდ დიდი ანგარიშით დამარცხდა.

ერთადერთი ქართველი, რომელიც 10-ქულიან თამასას ასცდა, ლაშა მიქელაძე იყო 12 ქულით. 8-8 ქულა კახა ჟღენტმა და გიორგი ჭეიშვილმა მიითვალეს.

# რიოს დავემშვიდობეთ, წინ ტოკიოს ოლიმპიადაა



ქართველმა სპორტსმენებმა ზაფხულის 31-ე ოლიმპიადა 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედლით ჩაამთავრეს.

ძალოსანი ლაშა ტალახაძე და თავისუფალი სტილით მოჭიდავე ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. ძიუდოისტ ვარლამ ლიპარტელიანს უმაღლეს ტიტულამდე ერთი მოგება დააკლდა და ვერცხლს დასჯერდა. ასევე ძიუდოისტმა ლაშა შავდათუაშვილმა, ძალოსანმა ირაკლი თურმანიძემ, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე შმაგი ბოლქვაძემ და თავისუფალი სტილით მოჭიდავე გენო პეტრიაშვილმა კი მე-3 ადგილები დაიკავეს.

ამ შედეგით საქართველომ ოთხი წლის წინანდელ მიღწევას მედლების ხარისხით აჯობა. ლონდონში ჩვენს დელეგაციას 1 ოქრო და 3-3 ვერცხლი და ბრინჯაო ჰქონდა. რაოდენობრივად კი სწორედ ბოლო ორი ოლიმპიური თამაშებია სარეკორდო.

რიო 2016-ის ბოლო დღეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრ ელიზბარ ოდიკაძეს საპრიზო სამეულამდე ერთადერთი გამარჯვება დააკლდა. მას რომ დასკვნით შეხვედრაში ემარჯვა და საპრიზო სამეულში შესულიყო, მაშინ ბრაზილიური ოლიმპიადა მედლების რაოდენობით საუკეთესო იქნებოდა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

დახურვის ცერემონიამდე ქართველი ქომაგებისთვის გამორჩეულად საინტერესო სწორედ ჭიდაობა იყო. ელიზბარ ოდიკაძის გარდა, კონკურენციაში ზურაბ იაკობიშვილიც ჩაება, მაგრამ შეჯიბრებას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა.

მედლები გათამაშდა მარათონშიც. მასში მონაწილეობა დავით ხარაზიშვილმაც მიიღო და 155 მარათონელს შორის 72-ე ადგილი დაიკავა.

რიო 2016-ის დახურვის ცერემონიაზე საქართველოს მედროშე ლაშა ტალახაძე იყო. ოლიმპიური დროშა კი ბრაზილიელთაგან იაპონელებმა გადაიბარეს – 4 წელიწადში ოლიმპიადას ტოკიო უმასპინძლებს.

დაბოლოს, რიო 2016-ის ორი გამორჩეული მოვლენაც. ოლიმპიური კარიერა დაასრულა თანამედროვე სპორტის ორმა სუპერვარსკვლავმა: ამერიკელმა მოცურავემ მაიკლ ფელპსმა და იამაიკელმა მძლეოსანმა უსაინ ბოლტმა.

ფელპსმა 23 ოქროს მედალი მოიპოვა, რაც ალბათ კიდევ დიდი ხნის ამბავში მიუწვდომელი შედეგი იქნება.

ბოლტმა კი ზედიზედ მესამე ოლიმპიურ თამაშებზე შეძლო სამი ოქროს მოგება. 100 და 200-მეტრიან დისტანციებზე სირბილსა და 4X100 მეტრზე ესტაფეტაში.

საერთო ჩათვლაში გამარჯვებული 121 მედლით (46 ოქრო) აშშ-ს ოლიმპიური ნაკრები გახდა. მეორე ადგილზე 67 მედლით, საიდანაც 27 ოქროა, დიდი ბრიტანეთი გავიდა, ხოლო ჩინეთის დელეგაციამ 70 მედლით (26 ოქრო) მესამე პოზიცია დაიკავა. როგორც ხედავთ, ჩინეთს ბრიტანელებზე მეტი მედალი აქვს, მაგრამ ბრიტანელები ხარისხით სჯობნიან, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს ოლიმპიურმა ნაკრებმა რიოს ოლიმპიური თამაშები 7 მედლით (2 ოქროს) 38-ე ადგილზე დაასრულა.

უამრავი რეკორდით, ძალიან დაძაბული შეჯიბრებებით და ათასი საინტერესო ასპარეზობით სავსე რიო 2016 ახლა უკვე ისტორიის კუთვნილებაა.

# თეთრ ჯგუფში დინამო და ჩიხურა ლიდერობენ



**ცხინვალი-დინამო 2:4**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

0:1 ცინცაძე (18პ), 0:2 კიტეიშვილი (36), 1:2 დვალი (50), 1:3 რენე სანტოსი (68), 1:4 პაპუნაშვილი (71), 2:4 თომაშვილი (73)

**ცხინვალი:** ნადირაძე, კახელიშვილი (გაბრიჩიძე 72), ქარდავა, მახარობლიძე, სულთანიშვილი, ბაჩიაშვილი, მაისაშვილი (კაჭკაჭიშვილი 82), თომაშვილი, ცერცვაძე, ქოჩლაძე (მაქაცარია 62), დვალი

**დინამო:** სკრიბე, კირკიტაძე, ამისლუაშვილი, რენე, შპიჩიჩი, ცინცაძე, ალვარო, ჭანტურიშვილი (თევზაძე 74), პაპუნაშვილი, კიტეიშვილი (ზარია 72), მიქელთაძე (პარუნაშვილი 55)

28-ე პირველობის მე-3 ტურის შეხვედრაში ცხინვალმა თბილისის დინამოს უმასპინძლა და 2:4 დამარცხდა. ამ გამარჯვებით დინამოელებმა 7 ქულა დააგროვეს და საჩხერის ჩიხურასთან ერთად თეთრ ჯგუფს ჩაუდგა სათავეში.

აღსანიშნავია, რომ დინამოელთა შემადგენლობაში დღეს ორ ახალგაზრდა ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი. მარჯვენა მცველი თორნიკე კირკიტაძე თავიდანვე სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ, ხოლო შემტევი გიორგი ზარია იურაი იარაბეკმა მეორე ტაიმში შეუშვა მოედანზე.

მატჩის პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა მე-3 წუთზე შექმნეს. მარცხენა ფრთიდან მათე ცინცაძემ ძლიერად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, ბურთი გიორგი ნადირაძემ მოიგერია. მე-10 წუთზე მასპინძელთა კარი აშკარა გოლს გადარჩა – რენეს დარტყმული მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა.

მე-18 წუთზე დინამომ გახსნა ანგარიში. მეტოქის საჯარიმოში გიორგი პაპუნაშვილი წააქციეს, თერთმეტმეტრიანი კი მათე ცინცაძემ ზუსტად შეასრულა.

მომდევნო შეტევაში დინამოს კიდევ შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ჭანტურიშვილის აქტიური თამაშის შემდეგ კიტეიშვილმა დაარტყა არაზუსტად, ბურთი ზევიდან გადაცდა ცხინვალის კარს. 33-ე წუთზე თბილისელებმა სწრაფი კონტრშეტევა გაითამაშეს. კიტეიშვილი-ჭანტურიშვილი-პაპუნაშვილის შეტევის შემდეგ ბურთი გიორგი ნადირაძემ კუთხურზე მოიგერია.

3 წუთში დინამომ მაინც მოახერხა მეორე გოლის გატანა. გიორგი პაპუნაშვილმა საჯარიმოში იყოჩაღა, პასი ოთარ კიტეიშვილის გადასცა, რომელმაც ზუსტი დარტყმით გააორმაგა ანგარიში – 0:2.

მეორე ტაიმის დებიუტში მასპინძლებმა მოახერხეს ერთი გოლის გაქვითვა. ზუსტი დარტყმა ჯაბა დვალმა შეასრულა – 1:2. საპასუხოდ გიორგი პაპუნაშვილს შეეძლო შორი მანძილიდან გატანა, თუმცა ბურთი ოდნავ აცდა მიზანს. მე-60 წუთზე თბილისელთა მრავალსვლიან კომბინაციას პარუნაშვილი აგვირგვინებდა. ბურთი მეკარემ მოიგერია. მომდევნო შეტევაში ნადირაძემ ცინცაძის შორეული დარტყმაც აიღო.

მალევე დინამომ მესამე გოლი გაიტანა – ცინცაძის ჩამოწოდებულ კუთხურს პირველი რენე სანტოსი გამოეხმაურა. დინამომ აქტიურად გააგრძელა თამაში და იქვე გაიტანა მეოთხე გოლიც. ჭანტურიშვილის ჩაწოდებულს პაპუნაშვილი დაუხვდა საჯარიმოში – 1:4.

მასპინძლებმა შეძლეს კიდევ ერთი გოლის გატანა, თავი გულვერდ თომაშვილმა გამოიჩინა. მასპინძლებს მატჩის ბოლოსაც შეეძლოთ გატანა, თამაზ მაქაცარია პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ მასპინძელთა შემტევს ანტონი სკრიბემ აჯობა.

საბოლოოდ მატჩი 2:4 დასრულდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 2.ჩიხურა | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 3.ტორპედო | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 4.შუქურა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |
| 5.გურია | 3 | 0 | 2 | 1 | 0-3 | 2 |
| 6.ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 7.ცხინვალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |

# შედეგები

**21 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-მიდლსბრო ............ 1:2
ვესტ ჰემი-ბორმნუთი ..................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 2.მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3.ჰალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4.ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 5.ევერტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6.მიდლსბრო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.ტოტენჰემი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8.ბარნლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 10.ვესტ ჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 11.ლივერპული | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 12.სუონსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 13.არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 14.უოტფორდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 15.ლესტერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 16.საუთჰემპტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 17.სტოკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 18.სანდერლენდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 19.კრ.პალასი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 20.ბორნმუთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

იფსვიჩი-ნორვიჩი ........................ 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხიხონი-ბილბაო ............................ 2:1
სოსიედადი-რეალი ....................... 0:3
ატლეტიკო-ალავესი ...................... 1:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ნუმანსია-ლევანტე ........................ 0:1
ხიმნასტიკი-ლუგო ......................... 2:2
სევილია ბ-ხირონა ......................... 3:3
ვალიადოლიდი-ოვიედო ................ 1:0

**იტალია. სერია ა**

მილანი-ტორინო ........................... 3:2
ბოლონია-კროტონე ....................... 1:0
კიევო-ინტერი ............................... 2:0
ემპოლი-სამპდორია ...................... 0:1
ჯენოა-კალიარი ............................ 3:1
პალერმო-სასუოლო ....................... 0:1
პესკარა-ნაპოლი ........................... 2:2
ატალანტა-ლაციო ......................... 3:4

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

გენგამი-მარსელი ......................... 2:1
სტ.ეტიენი-მონპელიე .................... 3:1
პსჟ-მეცი ...................................... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2.პსჟ | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3.ნიცა | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4.ტულუზა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 5.გენგამი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6.მონაკო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.ბასტია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 8.სტ.ეტიენი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 9.რენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 10.ლილი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 11.ნანტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 12.კაენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 13.მონპელიე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 14.ბორდო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-6 | 3 |
| 15.მეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 16.მარსელი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 17.ანჟე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 18.დიჟონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 19.ლორიანი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 20.ნანსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

გრონინგენი-ტვენტე ..................... 3:4
სპარტა-იგლზი ............................. 1:0
უტრეხტი-ალკმაარი ..................... 1:2
ერაკლესი-ფეინოორდი ................. 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფეირენსე-მორეირენსე ................. 0:3
აროუკა-ნასიონალი ...................... 2:0
ბენფიკა-სეტუბალი ....................... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-ურალი ............................. 1:0
სპარტაკი-კრასნოდარი ................. 2:0
ლოკომოტივი-კრილია .................. 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-სიონი ..................... 2:1
ლუცერნი-თუნი ............................. 3:0
ვადუცი-სტ.გალენი ....................... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-რაპიდი ............... 1:1
ავსტრია-ალტახი .......................... 3:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ეუპენი-ანდერლეხტი .................... 2:2
ლოკერენი-გენკი ........................... 0:3
გენტი-ვესტერლო .......................... 4:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-გაზიანთები .................. 2:0
ქაისერი-აკხისარი ......................... 0:2
ანტალია-ოსმანლი ........................ 0:0
ბასაკშეჰირი-ფენერბახჩე .............. 1:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

სლავია-პრჟიბრჟამი ...................... 3:0
ლიბერეცი-ბრნო ........................... 0:0
სპარტა-იაბლონეცი ...................... 3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-ლენჩნა ........................ 0:0
იაგელონია-ლეხია ........................ 0:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

შახტარი-დნიპრო .......................... 4:0
ვორსკლა-სტალი ........................... 0:0
ზორია-კარპატი ............................ 2:1
ზვეზდა-ჩერნომორეცი ................... 0:1

***ჩერნომორეცის გოლი დავით ხოჭოლავამ გაიტანა***

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ვიბორგი .................. 1:5
ორხუსი-ბრონდბიუ ....................... 0:7
მიდტიულანდი-სონდერიისკე ........ 2:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰამარბი-გიოტებორგი .................... 2:0
ფალკენბერგი-გეფლე .................... 1:1
იორობრო-აიკი ............................. 0:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სარპსბორგი-სტრომგოდსეტი ....... 1:0
ბრანი-რუსენბორგი ....................... 1:1
მიოლდე-ოდ გრელანდი ................ 4:2
სტაბეკი-ალესუნდი ....................... 3:0
სტარტი-სონგდალი ....................... 1:1
ტრომსო-ვიკინგი ......................... 2:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ჰიკი ................................... 0:0
მარიეჰამნი-ჰიფკი ........................ 1:0
კუუპიო-პკ ................................... 3:0
ლახტი-ინტერი ............................. 1:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# საფრანგეთში ტურისტების რიცხვმა იკლო

უცხოელი ტურისტების რაოდენობა საფრანგეთში მიმდინარე წლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ ინფორმაციას საფრანგეთის სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი ავრცელებს.

ტურისტებს შორის საფრანგეთის პოპულარობის კლება განპირობებულია გახშირებული ქუჩის საპროტესტო აქციებითა და გაფიცვებით,



ცუდი ამინდით და ტერორისტული აქტების მომრავლებით. ივნისის ბოლოსთვის იმ უცხოელი ტურისტების რაოდენობა, რომლებიც ღამის გასათევად საფრანგეთის სასტუმროებში რჩებოდნენ, 8,5 პროცენტით შემცირდა, ხოლო სამ თვეში პარიზში ეს მაჩვენებელი 12,9 პროცენტამდე დაეცა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ტენდენცია მოულოდნელი აღმოჩნდა ქვეყნის ტურიზმის სფეროში დასაქმებულებისთვის, ვინაიდან მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, ნოემბრის ტერორისტული შეტევების შემდეგ, სიტუაცია უკეთესობისკენ იყო შეცვლილი.

გარდა ამისა, ტურისტების ნაკადის შემცირება ცუდმა გარემო პირობებმაც გამოიწვია, ვინაიდან მიმდინარე წლის გაზაფხული ყველაზე წვიმიანი და ცივი გამოდგა ბოლო 50 წლის განმავლობაში.

# ინდოელს მუცლიდან 40 დანა ამოუღეს



ინდოეთის პენჯაბის შტატის ქალაქ გურდასპურში ქირურგებმა ოპერაციის დროს მამაკაცის მუცლიდან 40 ცალი დანა ამოიღეს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი სააგენტოები ავრცელებენ.

42 წლის მამაკაცი, რომლის ვინაობა არ სახელდება, საავადმყოფოში მუცლის არეში ტკივილებისა და სისუსტის ჩივილების გამო იქნა მოთავსებული. საავადმყოფოს ხელმძღვანელმა ექიმმა ჯიტინდერ მალჰოტრამ განაცხადა, რომ ავადმყოფის გაშუქებამ აჩვენა, რომ მას მუცელში რაღაც მყარი მასა ჰქონდა.

პაციენტმა აღიარა, რომ ორი თვის მანძილზე ის განიცდიდა „არაკონტროლირებად სურვილს“ გადაეყლაპა სუფრის ხელსაწყოები იმიტომ, რომ მას „მათი გემო მოსწონდა“. ამის შემდეგ პაციენტს წარმატებით ჩაუტარდა ოპერაცია და უახლოეს დროში საავადმყოფოდან გაეწერება.

ჯიტინდერ მალჰოტრამ აღიარა, რომ მის 20 წლიან კარიერაში ეს ყველაზე შოკისმომგვრელი შემთხვევა იყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ბილ მიურეი აეროპორტში კარტოფილ-ფრის იპარავდა



ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ჩანს, თუ როგორ პარავს ამერიკელი მსახიობი ბილ მიურეი კარტოფილ-ფრის მის მეგობარს, რის შემდეგ სრულიად აუღელვებლად, მშვიდი სახით ტოვებს იქაურობას და ხალხს შეერევა. აღნიშნული შემთხვევა კუნძულ მარტას-ვინიარდის აეროპორტის რესტორანში მოხდა, რომელიც მასაჩუსეტსის შტატს ეკუთვნის.

მიურეი მაგიდასთან მჯდომ მომხმარებელთან მივიდა და მისი მაგიდიდან რამდენიმე კარტოფილის ნაჭერი აიღო და შემდეგ ხალხში მიიმალა. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, ანალოგიური რამ მიურეიმ რამდენიმე წლის წინაც გააკეთა და მაშინაც კარტოფილი-ფრის რამდენიმე ნაჭერი მოიპარა.

შეგახსენებთ, რომ ბილ მიურეი ამერიკელი მსახიობი და რეჟისორია, პრემია „ოქროს გლობუსის“ ლაურეატი. ის ცნობილია ისეთი ფილმებით, როგორებიცაა: „თახვის დღე“, „თარგმანის სირთულეები“, „მოჩვენებებზე მონადირეები“ და სხვა სურათები.

# ჭიანჭველებმა საკუთარი სხეულებისგან ცოცხალი ტივი გააკეთეს



ინტერნეტში გამოჩნდა ვიდეო, რომელზეც ასახულია ათასობით ჭიანჭველისგან შექმნილი „ცოცხალი ტივი“, რომელიც მათ წყალდიდობისგან თავის გადასარჩენად შექმნეს. აღნიშნული ვიდეორგოლი ამერიკის ტეხასის შტატში იქნა გადაღებული.

ჭიანჭველები, როგორც კი წყალში მოხვდებიან, მომენტალურად ქმნიან ტივს საკუთარი სხეულებისგან, რომელსაც შეუძლია წყლის ზედაპირზე არათუ რამდენიმე საათის მანძილზე, არამედ დღეების და კვირების მანძილზეც კი იტივტივოს და ეს იმ დროს, როდესაც ცალკე აღებული ჭიანჭველა წყალში მოხვედრიდან რამდენიმე საათში იძირება.

ჭიანჭველების მიერ შექმნილი ცოცხალი ტივის სტრუქტურა მეტად მჭიდროა, მასში ნაპრალები არ წარმოიქმნება, თუმცა ამავე დროს მეტად მოქნილიცაა.

# ჩინეთში ყველაზე გრძელი შუშის ხიდი გაიხსნა

ჩინეთის ეროვნულ პარკ ჩჟანცზიაცზში, რომელიც ჰუნანის პროვინციაში მდებარეობს, ოფიციალურად გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე გრძელი შუშის ხიდი.

ხიდის სიგრძე 430 მეტრს, ხოლო სიგანე ექვს მეტრს შეადგენს. ამასთან ხიდი დედამიწიდან 300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.



ხიდი ათეულობით ზემტკიცე მინის პანელებისგან შედგება და ერთდროულად 800-მდე ადამიანს იტევს.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მაისში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩინეთში მსოფლიოში ყველაზე გრძელი და მაღალი შუშის დაკიდებული ხიდის მშენებლობა დასრულდა, მაგრამ მაშინ მისი გახსნა კოკისპირული წვიმების გამო გადაიდო.




# ასტროპროგნოზი
## 23 აგვისტოსთვის



**ვერძი** – მოსალოდნელი შეხვედრა პირად ცხოვრებაზე სერიოზულად დაგაფიქრებთ. დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **კურო** – იღბლიანი დღეა. ნებისმიერი საქმე გამოგდით. საპირისპირო სქესს თავბრუს დაახვევთ. **ტყუპები** – გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. დასახული მიზნის მიღწევაში დღეს ხელს ვერავინ შეგიშლით. **კირჩხიბი** – საკუთარი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ. მეტისმეტს ნუ მოინდომებთ. ოჯახის წევრებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **ლომი** – დაფიქრდით მიზეზზე, რომელმაც პირად ცხოვრებაში პრობლემა შეგიქმნათ. უკან ნუ დაიხევთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა იმედს გაგიცრუებთ. დღის მეორე ნახევარში სასიხარულო ინფორმაციას ელოდეთ. **სასწორი** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი შესამჩნევად იზრდება. **ღრიანკალი** – იმუშავეთ საკუთარ თავზე. გაიფართოვეთ ცოდნა, აიმაღლეთ ინტელექტი. თუ ვინმეს თქვენი დახმარება სჭირდება, ნუ დაზარდებით. **მშვილდოსანი** – მოწინააღმდეგეს იოლად ამარცხებთ. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. ახალი კონტაქტები წარმატებას მოგიტანთ. **თხის რქა** – დაფიქრდით, სად დაუშვით შეცდომა და მის გამოსწორებაზე იზრუნეთ. წინსვლა გელით კარიერაში. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა. კამათისა და საქმის გარჩევის მიზეზი საკუთარ ამპარტავნობაში ეძიეთ. **თევზები** – ემოციები აკონტროლეთ. კარგი იქნება, თუ განმარტოვდებით და ისე დაისვენებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. შვიდდღიურის, მთელი კვირის ძველი ქართული სახელწოდება; 2. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 3. ჭადრაკის წინამორბედი, ინდური მაგიდის სათამაშო; 4. კრემისგულიანი ნამცხვარი; 5. განსაკუთრებით ძვირფასი, სამახსოვრო ნივთი; 7. ჯიხვების ჯოგი; 11. ირლანდიის დედაქალაქი; 13. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 15. ჭაობში ბინადარი გრძელნისკარტა ფრინველი; 16. ევროპის ყველაზე გრძელი მდინარე; 18. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 19. სპორტული, სასეირნო ნავი.

**თარაზულად:** 6. კინოპრიზი საფრანგეთში; 8. საღამოს სადილი; 9. ფიჭიანი თაფლი; 10. საკარმიდამო მამული ბრაზილიაში; 12. ქართველი მწერალი რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 14. ზღვისპირა კურორტი გაგრის მახლობლად; 17. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 20. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 21. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 22. პატარა სასაუზმე იტალიაში; 23. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. პოპური; 7. უმბრიელი; 8. ადრესი; 10. იახტა; 11. ფილადელფია; 13. კვარტეტი; 16. კივერი; 19. ინფარქტი; 20. კატალოგი.

**შვეულად:** 1. კორდონი; 2. ირისი; 3. ამბროსია; 4. დისპაჩი; 5. მისტაგოგი; 9. პალატა; 12. ვიბრატო; 14. ვასაკა; 15. ტირე; 17. რაუტი; 18. მიმი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ფარა; 2. სირი; 3. ირისი; 4. კოლი; 5. აპია; 6. ნია; 7. პონი; 8. მარიო; 9. გრადუსი; 10. მეტრი; 11. სინი; 12. იენა; 13. აბზინდა; 14. ზუმერი; 15. ტამპონი; 16. ვალუტა; 17. ფრი; 18. ათი; 19. ტაიგა; 20. პარსეკი; 21. სიო; 22. კუტი; 23. გრაფია; 24. სტროფი; 25. კარე; 26. მარში; 27. ასმათი; 28. კორსარი; 29. კრიშნა; 30. რიშარი; 31. სარი; 32. პოინტერი.

**სურათებზე:** ჟულიეტ ბინოში; ხუან მატა.

სპორტი

# კავანიმ იგუაინი გააკრიტიკა



პსჟ-ს ფორვარდმა ედისონ კავანიმ, რომელიც ერთი პერიოდი ნაპოლის ღირსებას იცავდა, გონსალო იგუაინის ტრანსფერზე კომენტარი გააკეთა.

კავანის თქმით, ის არასოდეს გადავიდოდა ნაპოლიდან იუვენტუსში, რადგან ეს ორი გუნდი ერთმანეთის პრინციპული მეტოქეა. კავანის აზრით, იგუაინი არასწორად მოიქცა, თუმცა ეს სხვების საქმე არ არის და გონსალო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას. იგუაინი 90 მილიონ ევროდ იუვენტუსმა იყიდა, რასაც ნეაპოლში ქომაგების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. მათ გონსალოს ურჩიეს, რომ ნეაპოლში არასოდეს ჩავიდეს.

# ბარსელონა აიაქსის მეკარის ყიდვას აპირებს

მას შემდეგ, რაც კლაუდიო ბრავოს მანჩესტერ სიტიში ტრანსფერი უკვე თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, ბარსელონა მის შემცვლელს ეძებს. თავიდან საუბარი იყო ვალენსიას ბრაზილიელ გოლკიპერზე დიეგო ალვეშზე, ახლა კი მას აიაქსის მეკარე



იასპერ სილისენიც შეემატა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბარსელონა უკვე მოელაპარაკა სილისენს პირადი კონტრაქტის დეტალებზე და ეს ტრანსფერი მალე შედგება.

ჰოლანდიელმა მეკარემ აიაქსს თხოვნითაც მიმართა, რომ მას ბარსელონაში წასვლის უფლება მისცენ. სილისენი ჰოლანდიის ნაკრების პირველი მეკარეც არის.

# ნოლიტომ აგუერო შეაქო



მანჩესტერ სიტის ახალწვეულმა ესპანელმა ნოლიტომ თავის ახალ გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ თანაგუნდელებით აღფრთოვანებულია. ნოლიტომ განსაკუთრებით სერხიო აგუერო გამოყო, რომელიც, მისი აზრით, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია.

— როდესაც ისეთი ფეხბურთელის გვერდით თამაშობ, როგორიც აგუეროა, ყველაფერი გაცილებით იოლად გამოგდის. მიხარია, რომ სტოკ სიტის წინააღმდეგ ორი გოლის გატანა შევძელი და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე იქნება, — განაცხადა ნოლიტომ. მანჩესტერ სიტიმ ხოსეპ გვარდიოლას მეთაურობით ინგლისის ჩემპიონატი კარგად დაიწყო და ორ შეხვედრაში ორი გამარჯვება მოიპოვა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ნანი ბრეგვაძემ 80 წლის იუბილე ბათუმში კონცერტით აღნიშნა



ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში ნანი ბრეგვაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს ეკა მამალაძემ, ნატალია ქუთათელაძემ, საქართველოს ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა და დირიჟორმა ნიკოლოზ რაჭველმა. კონცერტზე ყველასთვის კარგად ნაცნობი სიმღერები შესრულდა.

საიუბილეო საღამოზე დასასწრებად საქართველოს სხვადასხვა ქვეყნის დელეგაცია ეწვია, მათ შორის მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები.

მრგვალი თარიღი მომღერალს არა მარტო ოჯახის წევრებმა და კოლეგებმა, არამედ მთავრობის წარმომადგენლებმა, რიგითმა მსმენელებმა და გულშემატკივრებმაც მიულოცეს.

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საქართველოს სახალხო არტისტს საიუბილეო თარიღი მიულოცა და ჯანმრთელობა, მხნეობა და სიკეთე უსურვა. პირადად მიულოცა 80 წლის იუბილე ნანი ბრეგვაძეს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

# ნიუ იორკში შემოდგომის საგამოფენო სეზონს ქართველი მხატვრები გახსნიან



ქართული ხელოვნების ისტორიაში პირველად, ქართველი მხატვრები ნიუ იორკში შემოდგომის საგამოფენო სეზონს გახსნიან.

მხატვრების ჯგუფი გამოფენისთვის ამერიკულმა კომპანიამ „მადატარტ“ შეარჩია. გამოფენა ნიუ იორკის და თანამედროვე ხელოვნების ყველაზე პრესტიჟულ საგამოფენო სივრცეში ჩელსიში გაიხსნება.

გამოფენას ემანუელ ფრემინ გალერი უმასპინძლებს და გახსნის ოფიციალური საღამო 8 სექტემბერს არის დაგეგმილი. ცხელი აგვისტოს განმავლობაში ნიუ იორკის გალერეების უმრავლესობა იკეტება და ისინი თავის საუკეთესო გამოფენებს სწორედ 8 სექტემბერს ხსნიან.

ბესარიონ არბოლიშვილი, ნინო პაიჭაძე, ავთანდილ გახოკიძე, ზაზა ხაბულიანი, ეკატერინე მერაბიშვილი, პაპუნა დაბრუნდაშვილი, ნანა გაგოშიძე, ცირა ახობაძე, ალექსანდრე აჭარაძე, ბესარიონ როსტიაშვილი, დავით დოთიაშვილი, თიკა გზირიშვილი და დავით არბოლიშვილი არიან ის მხატვრები, ვისაც ხვდათ წილად სეზონის გახსნის პატივი.

როგორც გამოფენის ორგანიზატორმა მარიტა დამენიამ განაცხადა, ეს ბოლო 4 თვის განმავლობაში ქართველი მხატვრების მეოთხე გამოფენაა ნიუ იორკში. ექსპოზიციებს ყოველთვის დიდი რაოდენობით დამთვალიერებელი ჰყავს და დიდ ინტერესს იწვევს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ნარკოდილერმა პოლიციელებისგან თავის დასაღწევად გრიმით თავი დაიბერა




აშშ-ში ნარკოტიკების კონტრაბანდაში ეჭვმიტანილი შეეცადა პოლიციელების დევნისგან თავი დაეღწია, რისთვისაც მან გრიმის დახმარებით საკუთარი თავი მოხუც მამაკაცს დაამსგავსა.

ეჭვმიტანილ შონ მილერთან სახლში მისულმა პოლიციელებმა იქ მხოლოდ ერთი ადამიანი აღმოაჩინეს, რომელიც აშკარად არ შეესაბამებოდა, სავარაუდო დამნაშავეს, ვინაიდან ის გაცილებით ასაკოვანად გამოიყურებოდა. შემდგომი გამოძიებისას სამართალდამცავები მიხვდნენ, რომ „პენსიონერი“ სწორედ 31 წლის მილერი იყო. მას ნიღაბი ჩამოხსნეს და დააპატიმრეს.

ალკოჰოლის, თამბაქოს, ცეცხლსასროლი იარაღის და ასაფეთქებელი ნივთიერებების აშშ-ს ბიურომ ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა მილერის ფოტოსურათები გრიმით და უგრიმოდ.

მილერის სახლის ჩხრეკისას ნაპოვნი იქნა ორი დატენილი პისტოლეტი და თითქმის 30 ათასი დოლარი ნაღდი ფული. შონ მილერს ბრალი ედება ჰეროინის შენახვაში, მისი შემდგომში რეალიზაციისთვის. ადვოკატების თქმით, თავად მილერი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

# რეისის შეფერხების გამო მგზავრებმა აეროპორტში სკანდალი მოაწყვეს



რუსეთის ქალაქ უფას აეროპორტის მგზავრებმა, რომლებიც ტუნისის ქალაქ ჯერბაში მიემგზავრებოდნენ და რომელთა რეისიც 13 საათზე მეტი დროით შეფერხდა, სკანდალი მოაწყვეს. ამის თაობაზე პრესის წარმომადგენლებს ერთ-ერთმა მგზავრმა, სახელად იულიამ აცნობა.

მისი თქმით, ხალხმა საკუთარი აღშფოთების გამოხატვა ტერმინალთან დაიწყო, ხოლო როდესაც მათ ჩასასხდომის გასასვლელის გადაკეტვა სცადეს, აეროპორტის ადმინისტრაციამ პოლიცია გამოიძახა.

— რამდენიმე მამაკაცი წაიყვანეს, ხოლო ერთ-ერთის ნათესავმა განაცხადა, რომ ის დააკავეს და უცნობია, შეძლებს თუ არა ჩვენთან ერთად გამგზავრებას, — განაცხადა თვითმხილველმა.

აეროპორტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ტატიანა რიზვანმა განაცხადა, რომ კომპანიის წარმომადგენლები მგზავრებზე ზრუნავენ, ისინი სასტუმროებში განათავსეს და საკვებითაც უზრუნველყვეს, ხოლო რეისის შეფერხების მიზეზად თვითმფრინავის ერთ-ერთი ნაწილის დაზიანება დაასახელა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ავთანდილ ივანიაძის ხსოვნას



40 დღე გავიდა, რაც აღარ გაგვიგია შენი სალი საუბარი.

დიდ მწუხარებაში ვართ ყველა.

მუდამ გვემახსოვრები და გაგიხსენებთ, სანამ ცოცხლები ვიქნებით.

*ვენერა და კახა ივანიაძეები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**სამშაბათი 23 აგვისტო**

**07.00** დ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. რა არის ამერიკის ქვეშ" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ზღაპარი. "ტაბლავ" გაიშალე" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** ტ/სერ. **"წინ წარმატებისკენ"** **11.00, 19.00** ტ/სერ. **"ცხიერი მოახლეები"** **12.30** მხ/ფ **"მისტერ ბინი დასასვენებლად მიემგზავრება"** **14.00** ტ/სერ. **"ადვოკატები"** **15.00** დ/სერ. "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** დ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. როცა რობოტები ბატონობენ" **20.00** მოამბემოამბის სტუმარი **21.30** მხ/ფ **"შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი"** **23.10** მხ/ფ **"მაიამის პოლიცია"**(ჯ.ფოქსი) **01.30** დ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. როცა რობოტები ბატონობენ"

**08.00, 14.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **10.00**"გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ **"ყოვლისშემძლე ევანი"** **12.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **17.00** დ/ფ "ზეთი სიამაყე" **18.30** ტ/სერ. **"ბედისწერის აჩრდილი"** **19.30**"ტელებლოგი" **20.00**"მოამბე" (5 ენაზე) **21.00**"ქართული დოკუმენტალისტიკა" **21.40, 01.10** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა, პლეიოფი: **00.40** "ნამდვილი დრო"

**06.00** სერ. **"დახურული სკოლა"** **07.00, 14.40** სერ. **"ფიცი"** **08.00, 16.00** სერ. **"თანხმობა"** **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. **"ბამბის ველი"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **11.20** სერ. **"ჟუმონგი"** **12.30** სერ. **"სიყვარულის ჟამი"** **6** სერ. **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ელიფი"** **22.00** სერ. "შუა ქალაქში **10** წლის შემდეგ – **5**" **23.00** სერ. **"სპარტაკი"– 3" 4** სერ. **00.00** მხ/ფ **"მეგობრის საქმრო"** **02.30** მხ/ფ **"დევნილი"**

**06.30** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **07.30, 12.30** სერ. **"გაბრიელა"** **08.45, 09.15** სერ. **"ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები"** **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **15.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.45, 19.45, 20.05** სერ**"შენი ზოდიაქოს ფერი"** **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **00.00** სერ. **"ხელოვნური სუნთქვა"** **00.00** ქერის უბანი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. - **"ავატარი"** **9.00, 19.30** სერ. **"მენტალისტი"** **10.00, 18.30** სერ. **"კარგი ცოლი"** **11.00, 0.30** სერ. **"გრეის ანატომია"** **13.00, 2.30** სერ. **"ძვლები"** **15.10** მხ/ფ **"ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები"** **17.30** სერ. **"მსახიობი მამა"** **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** მხ/ფ **"საქმის მოგვარება"** **23.30** სერ. **"ამერიკული საშინელებათა ისტორია"**

**06.10** სპექტაკლი **"დარაბებს მიღმა გაზაფხულია"** **07.50** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" კოლაჟი **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი-მორჩილების ძალა **10.40** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია-"საჩხერე" **11.05** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა "ანანურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი" **12.10** მხ/ფ **"იყო შაშვი მგალობელი"** **13.30** კონცერტი **14.00** საყმაწვილო ენციკლოპედია **14.30** დ/ფ "საქართველო ჩვენი სამშობლო" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ტელე ზღაპარი "მეღორე და პრინცესა" **15.50** დ/ფ "წმინდა გაბრიელი" **16.20** სიმღერის კვალდაკვალ "ანჩისხატი" **17.15** "კვირიაკის" სიუჟეტი "მარო მაყაშვილი" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** დ/ფ "რა ხდება სიკვდილის შემდეგ" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "ქოზიფა" **19.45** ღია აუდიტორია "ნინო ლორთქიფანიძე" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია "კავკასიური სამოსი" **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი **23.30** გამოყენებითი ხელოვნება "ქვილთი" **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** მხ/ფ **"ენი მწვანე სახურავების მამულიდან"** VII სერ.

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. **"ზოგადი თერაპია"** **10.05** სერ. **"ტატიანა"** **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** სერ. **"უკანასკნელი მაგიკიანი"** **13.00, 14.05, 1.00** სერ. **"გულს ვერ უბრძანებ"** **15.30** სერ. **"სიყვარულის იმპერია"** **16.05, 17.05, 2.30** სერ. **"კარმელიტა ბოშური ვნება"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** სერ. **"უკანასკნელი მაგიკიანი"** **18.55, 19.05** სერ. **"მოლოდინის სია"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** სერ. **"ჯადოქარი"** **21.50** "ღამის კონტაქტი" **22.45** სერ. **"მახე"** **23.30** სერ. **"მიშკა იაპონჩიკი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზაგრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 აგვისტოსთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.2814 | ევრო — 2.5839 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9953 | 100 რუსული რუბლი — 3.5639 |

## ამინდის პროგნოზი 23 აგვისტოსთვის




## 23 აგვისტოდან

### წიგნი სიყვარულისა

წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, მანონ ლესკო




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 30 აგვისტოდან




ერნესტ ჰემინგუეი

### განუყრელი დღესასწაული

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 25 აგვისტოდან

### ძველი გულებისა და ხმლისა

აკა მორჩილაძე

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## იუმორი



ფსიქიატრიულში სამი გიჟი დავობს:
– მე ღმერთმა გამომგზავნა დედამიწაზე, კორუფცია უნდა მოვსპო, – ამბობს ერთი.
– შენ კი არა, მე გამომგზავნა ღმერთმა კორუფციის მოსასპობად, – ედავება მეორე.
ამ დროს მესამე ეუბნება:
– ორივე გაჩუმდით, არსადაც არ გამომიგზავნიხართ!

●●●

ნარკომანი სარკესთან დგას და ფიქრობს:
– აუუ, ჩემი კაი, ტო, რამხელა წვერი მაქვს, აუ, თმებიც გამჭაღარავებია, ნაოჭებიც გამჩენია სახეზე, აუ, ვსიო, ვიბრიდები, რა...
ამ დროს ძმა გვერდით ჩაუვლის და ეუბნება:
– ერთი გამაგებინა, ბაბუას სურათს რას მიშტერებიხარ?

●●●

ქუჩაში ერთი გამვლელი მეორეს ეკითხება:
– უკაცრავად, 100-ლარიანს ხომ ვერ დამიხურდავებთ?
– ვერა, მაგრამ გმადლობ კომპლიმენტისთვის!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– რა განსხვავებაა ქალსა და ტერორისტს შორის?
– ტერორისტთან მოლაპარაკება შეიძლება.

●●●

ერთი ნარკომანი მეორეს ეკითხება:
– ნიკუშ, ძმაო, გიტარაზე დაკვრის სწავლას თავი დაანებე?
– ჰო დავანებე, ძმაო.
– რატომ?
– გიტარას ექვსი სიმი აქვს, მე კიდევ ხუთი თითი და როგორ უნდა დამეკრა, ტო.
– აუ, აზრზე ხარ, როიალზე რა მუტანტები უკრავენ?

●●●

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:
– აბა, ვინ მიპასუხებს რა დროა: მე მშია, შენ გშია, მას შია?
გიგი პასუხობს:
– ძალიან ცუდი დროა, მასწ. მაგრამ უნდა გავუძლოთ.

●●●

ქმარმა გაზეთი წაიკითხა და ცოლს ეუბნება:
– აი, აქ წერია, რომ ქალი დღეში 2.500 სიტყვას ამბობს, კაცი კი – მხოლოდ 900-ს.
– ეს იმიტომ, რომ ქალებს ყოველთვის ყველაფრის გამეორება უწევთ, – უპასუხა ცოლმა.
– რაა?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

## 26 აგვისტოდან

### ბორის აკუნინი

გრიგოლ ჩხარტიშვილი

### სასაფლაოს ამბები




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**



## ჩელსი ხამესს არ ეშვება

ლონდონის ჩელსი აგრძელებს ფორვარდის ძიებას და კვლავინდებურად სურს რეალის კოლუმბიელი შემტევის, ხამეს როდრიგესის ყიდვა.

ხამესი რეალის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, ამიტომ მისი სხვა კლუბში გადასვლა სავსებით რეალურია. ჩელსი მზად არის, ამ ტრანსფერში 60 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ, სავარაუდოდ, მადრიდელები ამ თანხაზე უარს იტყვიან, რადგან თავის დროზე მათ ხამესი 80 მილიონ ევროდ შეიძინეს.

ჩელსი ევერტონის თავდამსხმელ რომელუ ლუკაკუსაც აკვირდება და თუ ხამესის ტრანსფერი არ შედგება, ლონდონელები არჩევანს სწორედ ლუკაკუზე შეაჩერებენ.

## რეალმა ჩემპიონატი დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო



მადრიდის რეალმა ესპანეთის ჩემპიონატი სან სებასტიანში დაიწყო, სადაც მადრიდელები ადგილობრივ რეალ სოსიედადს დაუპირისპირდნენ. ამ ქალაქში რეალს არაერთხელ ჰქონია რთული მატჩები, მაგრამ ამჯერად სამეფო გუნდისთვის ყველაფერი კარგად აეწყო.

უკვე შეხვედრის მე-2 წუთზე გარეტ ბეილმა გოლი გაიტანა და რეალი დაწინაურდა. ზინედინ ზიდანის გუნდი მშვიდად აკონტროლებდა მატჩის სადავეებს და მისმა შეგირდებმა მეტოქის კარში კიდევ ორი გოლის გატანა შეძლეს.

რეალის მთავარმა მეტოქე ბარსელონამ პირველ ტურში ბეტისი გაანადგურა 6:2, ატლეტიკომ კი ყველასთვის მოულოდნელად საკუთარ მოედანზე ალავესის დამარცხება ვერ შეძლო და ორი ქულა დაკარგა. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ციტრუსები სიმსუქნის წინააღმდეგ



ფორთოხალი და სხვა ციტრუსები ადამიანის სიმსუქნისგან წარმოქმნილ გართულებებს უმკლავდება. ეს სან-პაულუს უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომლებმაც საკუთარი მუშაობის შედეგი ამერიკის ქიმიური საზოგადოების ყოველწლიურ კონფერენციაზე წარადგინეს.

მეცნიერებმა 50 თაგვზე ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელთა ნაწილი ფლავონოიდებით მდიდარი საკვებით იკვებებოდა, რომელიც ფორთოხალში, ლაიმასა და ლიმონში იქნა აღმოჩენილი.

საბოლოოდ დადგინდა, რომ უბრალო ცხიმიანი საკვები, სისხლში ტიობარბიტურის მჟავას კონცენტრაციის გაზრდას უწყობდა ხელს, მაგრამ ფლავონოიდები მათ დონეს 50 პროცენტით ამცირებდა და ის მღრღნელები, რომლებიც უფრო მეტი რაოდენობით ამ ნივთიერებას იღებდნენ, ზედმეტი წონისგან თავისუფლდებოდნენ.

## კეიტ მიდლტონის ცნობილი კაბის დაბალფასიანი ვერსია გამოუშვეს



კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინის სახელგანთქმული კაბის ხელმისაწვდომი ფასის ვერსია გამოუშვეს. საუბარია კაბაზე, რომელიც კეიტ მიდლტონმა შეარჩია პრინც უილიამთან დანიშვნის თაობაზე განცხადების გაკეთების დროს.

ბრენდის ისსა ლონდონის ორიგინალური კაბა 575 ფუნტ სტერლინგად იყიდებოდა, ამასთან გაყიდვაში ყოველი გამოჩენის დროს ის საკმაოდ სწრაფად იყიდებოდა. ამგვარად, როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა წერს, „კეიტ მიდლტონის ეფექტი" კვლავაც ძალაშია.

აღნიშნული კაბის შემქმნელი დანიელა ისსა ჰელაელი, რომელიც ისსა ლონდონის კრეატიული დირექტორი იყო, გაერთიანდა კომპანია მონსუნთან კოლექციის შესაქმნელად, რომელშიც შედის კაბა, რომელიც ძალიან ჰგავს იმ კაბას, რომელში გამოწყობილმა კეტრინმა უილიამთან ნიშნობის თაობაზე განცხადება გააკეთა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების მარტივი ერთეული; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს; 4. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. მაბეზღარა, ჯაშუშის ძველებური სახელწოდება; 8. ზუსტი ხელსაწყოების წარმოებაში გამოყენებული რკინისა და ნიკელის შენადნობი; 9. ფიფას პრეზიდენტი; 12. უღელტეხილი კავკასიონზე; 14. რძის პროდუქტი; 16. მონასტერი ხარაგაულის რაიონში.

**თარაზულად:** 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 6. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 7. მეცნიერული ნაშრომის, ლექციის, სტატიის მოკლე შინაარსი; 9. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 11. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 13. უნგრული ღვინო; 15. პოპულარული პლაჟი ლოს ანჯელესში; 17. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 18. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 19. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. პატიმრობა ძალიან მკაცრ პირობებში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

